სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 14 ივნისი 2000 №111 (1133) | ფასი 50 თეთრი



ბასკო — აზოტი 63:73.
უტევს ბასკოელი დავით კვაჭაძე

ფოტო: ფოლოვნიკოვი

ექსიუგოსლავიური კალეიდოსკოპი

57' 0:3
73' 3:3

ვუიადინ ბოშკოვი

სრეჩკო კატანეცი



REUTERS შარლერუადან

იუგოსლავია — სლოვენია 3:3. საავო მილოშევიჩმა (№9) და ლუბინკო დრულოვიჩმა (№17) სლოვენიას სამი ბურთი გაუქვითეს

C ჯგუფი

იუგოსლავია	3
სლოვენია	3
ესპანეთი	0
ნორვეგია	1

UEFA EURO 2000

ესპანეთ — ნორვეგიის ულიმლამო თამაშს, საქართველოს ერთმა ყოფილმა თანაჯგუფელმა რომ მოიგო, მეორე თანაჯგუფელ სლოვენიისა და მისი ყოფილი თანამოძმის იუგოსლავიის დრამატული, გოლუხვი მატჩი მოჰყვა. ვუიადინ ბოშკოვის განწირთნილი იუგოსლავია 0:3 აგებდა მისი ყოფილი მონაფის, სრეჩკო კატანეცის გუნდთან. მაგრამ მრავლისმნახველ ბოშკოვს, ჩანს, ასეთი უიმედო ვითარებითაც ვერ გააკვირვებ. მისმა გუნდმა, თანაც კაცნაკლულმა, სამი საპასუხო გოლი გაიტანა და ქულა გადაარჩინა. მატჩის მერე კი ხასიათგამოკეთებულმა ბოშკოვმა სრეჩკო კატანეცს გარჯა მოუწონა.

იხილეთ მეორე-მეხუთე გვერდები

ფინალი აზოტმა გახსნა



წესით, ამ ადგილას გუშინდელი ფინალური მატჩის რეპორტაჟი უნდა იწყებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა თემაზე გვიწევს წერა.

მატჩის გასაშუქებლად მისული „სარბიელის“ კორესპონდენტები, სპორტის სასახლის ადმინისტრატორად წარმდგარმა პირმა პრესის ლოჟაში არ შეუშვა — აქ მხოლოდ ორლარიანი ბილეთების მფლობელებს შეუძლიათ შესვლაო.

სასახლის ადმინისტრატორზე ვერც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ გაცემულმა საშვმა გაჭრა. არადა, ამ საშვს სპორტის სასახლის ემბლემა ამშვენებს და მისი გაცემა ამ ორგანიზაციის დირექციასთან და საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან იყო შეთანხმებული. მადლობა თქვით, ამ საშვით სასახლის ტერიტორიაზე საერთოდ რომ შემოგიშვითო, თქვა ადმინისტრატორმა და დასძინა, დირექტორის ბრძანებით, პრეს-ლოჟაში მხოლოდ ორლარიანი ბილეთების მფლობელები ჩავლენო.

გვჯერა, არავითარი ბრძანება არ ყოფილა და ადმინისტრატორმა რაღაც ისე ვერ გაიგო. მით უმეტეს, ადრე თბილისის სპორტის სასახლეში ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ შეგვქმნია. არც ის გვგონია, რომ სასახლის დირექციას ბიუჯეტის შევსება პრესის ლოჟაში გაყიდული ადგილებით გადაეწყვიტოს. ადმინისტრატორმა თუ არა, სპორტის სასახლის დირექტორმა, გამოცდილმა სპორტულმა მუშაკმა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრმა კარგად იცის, რომ პრესის ლოჟაში ჟურნალისტები უნდა ისხდნენ. მით უმეტეს, სათანადო საშვებით აღჭურვილნი. ამიერიდან კი სპორტის სასახლის დირექტორს ისიც ეცოდინება, რომ მისი თანამშრომლები არც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას სცემენ პატივს და არც საქართველოს კალათბურთის ფედერაციას.

იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდები

ხეზე ასვლა რომ ესწავლებინა...

C ჯგუფი

შარლეროა
13 ივნისი
23.45 საათი
კომუნალი
20 000 (ტევადობა 30 000)

იუგოსლავია 3:3 სლოვენია

0:1 ზაპოვიჩი (23), 0:2 პავლინი (52), 0:3 ზაპოვიჩი (57), 1:3 მილოშევიჩი (67), 2:3 დრულოვიჩი (70), 3:3 მილოშევიჩი (73)

იუგოსლავია: კრალი, დუდიჩი, იოკანოვიჩი, ჯუკიჩი, დ. სტანკოვიჩი (სტოიკოვიჩი 36), იუგოვიჩი, მიატოვიჩი (კეუმანი 82), მიხაილოვიჩი, დრულოვიჩი, კოვაჩევიჩი (მილოშევიჩი 52), ნადი

მწვრთნელი: ვუიადინ ბოშკოვი

სლოვენია: დაბანოვიჩი, მილინოვიჩი, მილანიჩი, გალიჩი, ნოვაკი, ჩეხი, უდოვიჩი (აჩიმოვიჩი 64), ზაპოვიჩი, პავლინი (პავლოვიჩი 73), რუდონია, კარიჩი (ოსტერეი 78)

მწვრთნელი: სრეჩკო კატანეცი

გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, მილანიჩი

გაძევება: მიხაილოვიჩი (60)

მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

კარისკენ დარტყმა: 3-5; კარში დარტყმა: 9-9; კუთხური: 6-6; ჯარიმა: 24-23; თამაშგარე: 1-5

სოლომონ გულისაშვილი

REUTERS შარლეროუადან

სრეჩკო კატანეცი (მარჯვნივ) თავისიანებმაც გააოგნეს და იუგოსლავიელებმაც

მე-60 წუთზე მსაჯმა მელო პერეირამ საშო უდოვიჩის ხელის კვრისთვის სინიშა მიხაილოვიჩს მეორე ყვითელი უჩვენა და მინდვრიდან გააძევა. ათი კაცით დარჩენილი იუგოსლავიის ნაკრები ამ დროს 0:3 აგებდა...

იუგოსლავიაში ამბობენ, ჩვენ ძლიერი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ ერთი ნაკლი აქვთ, თამაში უნდა წაუვიდეთ. თუ ასე მოხდა, ჩვენი მომგები მსოფლიოში არავინაა. თუ არა და... გუშინ წაუვიდათ. მართალია, ვერ მოიგეს, მაგრამ ექვს წუთში სლოვენიელებს სამჯერ გაუტანეს და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, მეოთხესაც შეაგდებდნენ.

ყველას აინტერესებდა, როგორი იქნებოდა პირველი ბალკანური დერბი დიდი საფეხბურთო ტურნირის ფინალურ ეტაპზე. მართალია, სლოვენია ხორვატია არ არის, მაგრამ ანგარიში ანგარიშია. კარგი თამაში კი გამოვიდა: ლაღი, გახსნილი და ვაჟკაცური. ისეთი, რისთვისაც ფეხბურთი უყვართ.

პირველად ჩემპიონატზე ერთ მატჩში ექვსი ბურთი გავიდა. ასევე პირველად ორმა ფეხბურთელმა 2-2 გოლი გაიტანა. და კიდევ, სლოვენია და იუგოსლავია ერთმანეთს პირველად შეხვდნენ...

მოწინააღმდეგეებმა, ცხადია, ერთმანეთის ყველაფერი იცოდნენ. სლოვენიელთა მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი, რომელიც ჩემპიონატზე ჩასულ მწვრთნელთაგან ყველაზე ახალგაზრდაა, საჭაბუკეში ვუიადინ ბოშკოვის მოსწავლე გახლდათ. ბოშკოვი კი ევრო 2000-ის მწვრთნელთაგან ყველაზე მხცოვანია. მათ „სამპდორიაში" ერთად მოიგეს სერია A და თასების თასი.

კატანეცი წლების განმავლობაში იუგოსლავიის ნაკრების გამორჩეული ფეხბურთელიც იყო და თავის დროზე მათი დღევანდელი კაპიტნის, დრაგან სტოიკოვიჩის მხარდამხარაც უთამაშია.

საინტერესოა, რომ იუგოსლავიელებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ბოლოს თექვსმეტი წლის წინათ, საფრანგეთში ითამაშეს და შინ შერცხვენილები დაბრუნდნენ. ჯგუფში სამივე თამაში წააგეს და ჯამში ათი ბურთი გაუშვეს. აი, სწორედ ამ ჩემპიონატზე კატანეცი და სტოიკოვიჩი ერთ, გაერთიანებული იუგოსლავიის ნაკრებში თამაშობდნენ. მაშინ კატანეცი 20 წლის იყო, სტოიკოვიჩი 19-ის...

ამიტომაც ამბობდა კატანეცი, ბოშკოვს კარგად ვიცნობ და ზუსტად ვიცი, რას ფიქრობს. კიდევ, ჩინებულად ვუწყი როგორ თამაშობენ იუგოსლავიელებიო.

ჯონი ნოვაკმა, სლოვენიელთა ერთერთმა ლიდერმა, მიხაილოვიჩთან, მიატოვიჩთან, იუგოვიჩთან და იოკანოვიჩთან ერთად 1988 წლის ილიმპიადის საკვალიფიკაციო შეხვედრები ითამაშა... მერე ქვეყანა აირია და... „ყველაფრის მიუხედავად, კვლავ მეგობრებად ვრჩებით. სხვაგვარად ვერც იქნება, ჩვენ ხომ ერთი საფეხბურთო სკოლის აღზრდილები ვართ" — ასე ლაპარაკობდა ნოვაკი თამაშის წინა დღეს. გუშინ კი...

სლოვენიელების თამაში საქართველოს ნაკრებთან მათი თბილისური მატჩიდანაც კარგად გვახსოვს. ვუცქერდი და უნებურად შარშანდელი შეხვედრის ამბები მახსენდებოდა. კატანეცს თითქმის არაფერი შეუცვლია, ისევ ის მოკლე პასები, რომლითაც სლოვენიელები ძალიან ჰგვანან 80-იანი წლების დასაწყისის მინსკის „დინამოს" და, მოძრაობა, მოძრაობა... მარცხნივ კვლავ ვერცხლისწყალივით მლადენ რუდონია, შეტევაში კი ნამდვილი ლიდერი ზლატკო ზაჰოვიჩი.

ეს ყველაფერი ვუიადინ ბოშკოვმა ჩვენზე ათწილ კარგად იცოდა, მაგრამ პირველ ტაიმში მისი გუნდი მონუსხულივით არეულიყო, ფეხბურთელებს თითქოს სიარული ეზარებოდათ. ჩანს, ტყუილად არ ამბობდნენ, იუგოსლავიელები აზიურმა ტურნემ ერთობ გადაღალაო. არადა, რამდენიმე დღის წინ ბოშკოვი სერიოზულად ამტკიცებდა, ჩემპიონები უნდა გავხდეთო.

ნუთუ ასეთი თამაშით?

ჩაძინებულ იუგოსლავიას სლოვენიამ პატარა სპექტაკლი მოუწყო, ზაჰოვიჩისა და პავლინის გოლები ხომ ერთი მეორეს სჯობდა. ბოშკოვის ნაკრებში ერთადერთი ნათელი წერტილი შეცვლაზე შესული 35 წლის დრაგან სტოიკოვიჩი გახლდათ. სწორედ ის, კატანეცთან ერთად რომ ეთამაშა, ჯარიმების დიდოსტატი სინიშა მიხაილოვიჩი კი თავიდანვე გამომწვევად იქცეოდა და იმდენი მოახერხა, მსაჯს თავი გააგდებინა. აი, მერე კი... „პორტუს" შემტევი ლუბინკო დრულოვიჩი ველარავინ გაჩერა: ორჯერ სავო მილოშევიჩს გაატანინა, ერთიც თვითონ შეაგდო და ფანტასტიკური 3:3.

ეტყობა, ბოშკოვს კატანეცისთვის ხეზე ბოლომდე ასვლა არ უსწავლებია და როცა თითქოს განწირული იყო, შეგირდყოფილს ახალი გაკვეთილი ჩაუტარა. სანამ თამაში დამთავრდებოდა, ორივე საშინლად ნერვიულობდა, მერე კი, აბა მშვიდობით გაყრა ვის დაამწუხრებდა და, ესენიც ერომანეთს ჩაეხუტნენ. ქებაც ერგებათ, დიდებული საათნახევრისთვის.

მატჩის შემდეგ

სრეჩკო კატანეცი მომხდარით კმაყოფილზე უფრო გაოგნებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ პრესკონფერენციაზე პირდაპირ განაცხადა, შედეგით კმაყოფილი ვარო, ხოლო სამი გოლის გაფლანგვა გამოუცდელობით ახსნა. „ვარსკვლავთა წინააღმდეგ თამაში ჯერაც სასწავლი გვაქვს — თქვა სლოვენთა მწვრთნელმა — მაგრამ ჩემი ბიჭების სასაყვედურო ენას ვერ მოვატრიალებ. ისინი 70 წუთის მანძილზე შეუდარებლები იყვნენ და იმედი მაქვს, სხვა თამაშებსაც დღევანდელივით ითამაშებენ, ახლა კი ფრეც საკმარისია".

იუგოსლავიელთაგან პრესკონფერენციაზე **ვუიადინ ბოშკოვი** და მატჩის ერთ-ერთი გმირი, დუბლის გამტანი **სავო მილოშევიჩი** გამოცხადდნენ. ჯერ ფეხბურთელმა თქვა: — პირველი ტაიმის გარედან ყურება ჩემი ცხოვრების ყველაზე ცუდი მომენტი იყო, მოედანზე საცოდავები ვჩანდით და თუ ნორვეგიასთანაც ასე ვითამაშეთ, ის შვიდს მაინც გაგვტანს. ამაზე უნდა დავფიქრდეთ და ერთმანეთს დაველაპარაკოთ. წინ ხუთი დღე გვაქვს, ერთად დავსხდებით და განვსჯით."

„სინიშას გაძევებამ ჩვენზე აღრენალინის ინიექციასავით იმოქმედა — დასძინა მილოშევიჩმა — გმირობაც აქედან გამოდნა."

ბოშკოვმა თავისი ბიჭების გაჯორვა პრესკონფერენციიდანვე დაიწყო, თუმცა მეორე ტაიმის ექვს წუთში მათგან მოხდენილი სასწაულის აღნიშვნა არ დავიწყებია და ამ ამბავს „დიდებული სპექტაკლი" უწოდა. სლოვენიელებს რაც შეეხებათ, ბოშკოვის თქმით, მათი თამაშით მიღებული შთაბეჭდილება მასშტაბური იყო. „იგრძნობა, რომ გუნდი ჩინებულადაა მომზადებული" — დაასკვნა იუგთა მწვრთნელმა.

REUTERS შარლეროუადან

ზლატკო ზაჰოვიჩის (№10) მესამე გოლი იუგოსლავიელთა კარში

მატჩის სტენოგრამა

4 — ჟელკო მილინოვიჩმა საჯარიმო სახიფათოდ დაარტყა, ბურთმა ძელს ჩაუქროლა.

9 — მახვილი კუთხიდან დარკო კოვაჩევიჩის დარტყმულს სლოვენიელთა მეკარე დაბანოვიჩი გადაეღობა.

12 — მიხაილოვიჩის მოჭრილ ჯარიმას დაბანოვიჩმა მუშტები შეაგება.

23 — ზლატკო ზაჰოვიჩმა ამირ კარიჩის ფლანგურ ჩაწოდების მერე ჩინებული, მეკარისთვის უხერხული თავურით კრალი უსაქმოდ დატოვა 0:1.

33 — სლოვენიელთა სამსვლიანი კომბინაცია მეკარესთან ზაჰოვიჩის პირისპირ შეყრით დასრულდა, ნახევარმცველს ამჯერად კრალმა აჯობა.

40 — იუგოსლავიელმა მცველმა ივან დუდიჩმა ბურთი მეტოქე ამირ კარიჩს ჩააბარა, ამან იჩქარა და ააცილა.

52 — ზლატკო ზაჰოვიჩმა ჯარიმიდან ბურთი თავზე მირან პავლინს დაასვა, რომელმაც ლამაზი თავურით ივიცა კრალი გააშეშა 0:2.

57 — ახლა უკვე სინიშა მიხაილოვიჩმა უძღვნა სლოვენიელებს საჩუქარი. ზაჰოვიჩმაც შეირგო და... ბურთი ბადეში აფართხალდა — 0:3.

60 — პორტუგალიელმა არბიტრმა სიტყვიერი შელაპარაკებისთვის სინიშა მიხაილოვიჩი მეორედ გააფრთხილა, რასაც მისი გაძევება მოჰყვა.

61 — სლოვენიას მეოთხე უნდა გაეტანა, მაგრამ განოლილი უდოვიჩის დარტყმულს იუგოსლავიელთა მეკარე მცირე ტრავმის ფასად გაუმკლავდა.

67 — დაიწყო სლოვენიელთათვის კოშმარული ექვსი წუთი. ჯერ დუდიჩის გასროლილი დაბანოვიჩმა ნახტომში კუთხურზე მოიგერია, იქიდან ჩაწოდებული და თითქოს გადასული ბურთი დრულოვიჩმა კარის წინ მარტო მყოფ სავო მილოშევიჩს დაუგდო — 1:3.

70 — მიატოვიჩის პასი და დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ლუბინკო დრულოვიჩის დარტყმული — 2:3.

73 — დრულოვიჩი მარჯვნიდან მიუახლოვდა კარს, ბურთი ოდნავ უკან კარის გასწვრივ დააგორა, მილოშევიჩმაც იმარჯვა და 3:3.

83 — იუგოსლავიას მოგება შეეძლო. ჯარიმიდან სტოიკოვიჩის დარტყმულს სლავიშა იოკანოვიჩმა თავი შეაგება. ბურთი ხარიხას გადაევლო.

90 — ახლა უკვე კატანეცის გუნდს მიეცა გამარჯვების ჩინებული შანსი. კუთხურიდან სტოიკოვიჩის ჩაწოდებული ბურთი კარიჩმა მილანიჩს თავით გადაუგდო, მისი თავითვე დარტყმული კი დუდიჩმა ცარიელი კარიდან გამოიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

C ჯგუფი

როტერდამი
13 ივნისი
21.00 საათი
ფეიენოორდი
45 000 (ტევადობა 52 000)

ესპანეთი 0:1 ნორვეგია

0:1 ივერსენი (66)

ესპანეთი: მოლინა, სალგადო, პაკო, არანსაბალი, გვარდიოლა, იერო, ფრანი (მენდიეტა 72), ვალერონი (ელგერა 80), ეჩებერია (ალფონსო 72), რაული, ურსაისი

მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო

ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, ბრაგსტადი, ბერგი (ეგენი 59), მიუკლანდი, ჰეგემი, სკამელსრუდი, ე. ბაკე, ივერსენი (რისეტი 90), ფლო (კარეუ 70), სოლსკიაერი

მწვრთნელი: ნილს იოჰან სემბი

გაფრთხილება: ეჩებერია, ბერგდოლმო, სალგადო

მსაჯი: ჯამალ განდური (ეგვიპტე)

კარისკენ დარტყმა: 9-3; კარში დარტყმა: 5-2; კუთხური: 6-2; ჯარიმა: 20-16; თამაშგარე: 1-2

რა უნდოდა მოლინას ივერსენის უკან?

გიორგი დარჯანია

რას მოველოდით ამ მატჩისგან? იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის ჩემპიონატის წინა შეხვედრა ინგლისი — პორტუგალია იშვიათად კარგი სანახავი გამოდგა, ისეთსავე მიმზიდველ თამაშს. ამას დავუმატოთ კამაჩოს სიყვარული — შემტევი ფეხბურთი, შესარჩევ ეტაპზე ესპანელთა მიერ გატანილი 42 გოლი და კვლავ იგივე დასკვნა — თამაში საინტერესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

ესპანელთა მეტოქე ნორვეგიის ნაკრები გახლდათ. გუნდი, რომელიც, როცა დასჭირდება, ავი ძაღლივითაა — არც თვითონ თამაშობს და არც სხვას ათამაშებს: მეტოქეს მჭიდროდ მეურვეობს, მთელი გუნდით დაცვაში გამაგრდება, იშვიათად უტევს. ხოსე ანტონიო კამაჩამ ეს, ცხადია, ჩვენზე კარგად იცის, და ტაქტიკაც შესაბამისი უნდა შეერჩია. ბოლოს და ბოლოს, ნორვეგია ესპანელთაგან ადრე რვით და ცხრით ნულით ძლეული ავსტრია, კვიპროსი და სან მარინო ხომ არ არის.

და რა ვიხილეთ? ყოვლად უსახური და მოსაწყენი თამაში. მავანი მაყურებლის მიერ მინდორზე წითელი ბურთის ორჯერ გადაგდების გარდა საინტერესო, მგონი, არაფერი მომხდარა. სიტუაცია გულშემატკივრებმაც სათანადოდ შეაფასეს. შესვენებისას ტრიბუნებზე მხოლოდ ნორვეგიიდან და ესპანეთიდან ჩამოსული ქომაგები დარჩნენ, დანარჩენებმა ყელის გასასველებლად გასეირნება ამჯობინეს და თავიანთ ადგილებს თამაშის განახლებიდან კარგა ხნის მერე დაუბრუნდნენ.

ჯერ თამაშის აღწერას არ შევდგომივარ. ან კი რაა სათქმელი? როგორ აგორავებდნენ ფეხბურთელები ბურთს მოედნის შუაგულში? პირველ ტაიმში სულ ორი სახეირო მომენტი შეიქმნა. მე-20 წუთზე მარცხენა ფლანგიდან ანდრე ბერგდოლმოს საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ოლე გუნარ სოლსკიაერმა თავი დაუხვედრა და ძელს გაარტყა. ტრიბუნები უცბად გამოცოცხლდნენ და რამდენიმე წამში ისევ ჩაცხრნენ. თამაში ისევ მოდუნდა. ტაიმის ბოლოსკენ კი მიჩელ სალგადოს მარჯვნიდან ჩაწოდებული ბურთი ბიორნ ოტო ბრაგსტადისგან უხეიროდ დაცულ ისმაელ ურსაისს მიუვიდა და ბასკის მარცხენა დაბალ კუთხეში დარტყმული თავური ტომას მირემ თავგანწირულ ნახტომში მოიგერია. ამ მომენტებს ხოსება ეჩებერიას შორეული, უძლიერესი, მაგრამ ოდნავ უზუსტო დარტყმაც დავუმატოთ და სულ ეს იყო.

რა უთხრა შესვენებაზე კამაჩომ ფეხბურთელებს? ეს თავად მან და მისმა შეგირდებმა იციან, ფაქტი კი ისაა, რომ თამაშს მწვრთნელის დარიგებანი არ დასტყობია. ისევ ორიოდე სახიფათო მომენტი, თანაც სახიფათო ამ მატჩისთვის, თორემ სხვა შემთხვევაში სახსენებლად რომ არ ეღირებოდა. გონსალეს ფრანი საჯარიმოს მისადგომიდან ყუმბარისებურად ურტყამს, მეკარეს ბურთის აღება უჭირს, ხელიდან უვარდება, რაული იქვეა, მაგრამ მირემ შეცდომის გამოსწორება შეძლო. მერე ნორვეგიელებმა კუთხური ჩააწოდეს. ბურთმა მოლინას კარის გასწვრივ ჩაიქროლა, ფლოს მხოლოდ ფეხის გაკვრაღა სჭირდებოდა, მაგრამ დაიგვიანა.

ამ ორ მომენტს კი ერთადერთი გოლი მოჰყვა და ისიც აშკარად არასაგოლე სიტუაციაში გატანილი.

ესპანელთა საჯარიმოს კუთხეში მდგომმა სტეფან ივერსენმა მაღალი პასი მიიღო და ზურგით მდგომმა კარისკენ თავით გადაგზავნა. სრულიად უწყინარი მდგომარეობა იყო, მეკარე ბურთს მშვიდად დაეუფლებოდა და შეტევაც ამით დასრულდებოდა, მაგრამ...

ჟურნალისტები აუცილებლად ჰკითხავენ ხოსე ფრანსისკო მოლინას, რას აკეთებდა ის საჯარიმოს კუთხეში ივერსენის უკან, მაშინ როცა კარში უნდა მდგარიყო. მოლინა ალბათ დაფიქრდება და... პასუხს ვერ გასცემს. იქნებ კამაჩოსაც ჰკითხოს ვინმემ, რატომ ჩააყენა კარში ატლეტიკოელი, როცა ბოლო ამხანაგურ მატჩში ეს მოვალეობა სანტიაგო კანისარესმა და იკერ კასილიასმა (მეორე ტაიმში) კარგად შეასრულეს. ვინმემ ეგებ წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე ანდონი სუბისარეტას შეცდომებიც გაიხსენოს, რომლებმაც ესპანელებს თავბედი აწყევლინეს.

მოსახდენი მოხდა, გოლი გავიდა. გააქტიურდნენ ესპანელები? კი, მაგრამ მათი შეტევები, იქამდეც უშედეგო, ასეთადვე დარჩა.

მერე თამაში დასრულდა, ისევე როგორც ზღაპარი ესპანელთა უძლეველობის შესახებ.

ნორვეგია	1	1	0	0	1:0	3
იუგოსლავია	1	0	1	0	3:3	1
სლოვენია	1	0	1	0	3:3	1
ესპანეთი	1	0	0	1	0:1	0

მეორე ტური: 18.06. სლოვენია — ესპანეთი; ნორვეგია — იუგოსლავია

REUTERS როტერდამიდან

ინტერსენდვიჩი: ნორვეგიელი ეგენი რაულსა (№10) და ალფონსოს შორის

REUTERS როტერდამიდან

წაქცეული წამაქცეველი: გონსალეს ფრანი და ესპანელთა დამღონებელი სტეფან ივერსენი (№18)

მატჩის შემდეგ

პრესკონფერენციაზე **ხოსე ანტონიო კამაჩო** წაგებულის პირობაზე კარგა მხნე გამომეტყველებით გამოცხადდა და ისე არხეინად ილაპარაკა მისი ნაკრების პერსპექტივების შესახებ, კაცი იფიქრებდა, დარჩენილი ორი შეხვედრის ექვსი ქულა უკვე ჯიბეში უდევსო. ესპანელთა მწვრთნელმა აუგად მოიხსენია ნორვეგიის კარის ბადე, რომელშიც მცდელობათა და შესაძლებლობათა სიუხვის მიუხედავად, ბურთმა მიხვედრა ერთხელაც არ ისურვა და მეტოქეს კი ღირსეულად მიაგო მოსაგებელი. „ნორვეგიელებმა ითამაშეს დალაგებულად — თქვა კამაჩომ — დისციპლინა ბოლომდე მყარად შეინახეს, ბევრი იშრომეს და ამ გზით ჩვენი ეფექტური პასების გაუვნებელყოფა ყოველთვის მოახერხეს. არა მგონია, ჩვენი წაგება შეტევის ხაზის სისუსტე ყოფილიყო, ჩვენ იქ შემსრულებლები საკმაოდ გვყავდა“.

ბოლოს კამაჩომ არბიტრს გაჰკრა კრიტიკული კბილი. ელ განდურს დღეს ცუდი თამაში ჰქონდაო, აღნიშნა პირნეველმა და შემდეგ განაზოგადა, ეგვიპტელი საერთოდაც არა მგონია იმ დონის მსაჯი იყოს, ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებდესო.

შემდეგ **ნილს სემბის** ჯერი დადგა. იმან თავისი გუნდი ერთობ აქო და გამოკვეთა ნორვეგიელთა ისეთი საჭირო თვისებები, როგორებიცაა გუნდურობა და მონდომება. ყურადღება გამახვილდა აგრეთვე იმაზეც, რომ როცა ნორვეგიელებისნაირი პატარა ერის შვილები პირველსავე თამაშში ფავორიტს დასცემენ, ეს ბედნიერების გვარიანი საბაბია. ერიკ მიუკლანდმაც დაახლოებით ამისთანები თქვა, რის შემდეგაც სემბი უფრო კონკრეტულ საკითხებზე გადავიდა. „პირველი თხუთმეტი წუთი გაგვიჭირდა — მისი სიტყვებია — თუმცა ამისთვის მზად ვიყავით და ესპანელებს მაინცდამაინც საგოლე არაფერი შევაქმნევინეთ. მერე კი თამაშის სადავეები ჩვენკენაც გადმოვიდა და არავინ მოატყუოს იმან, ბურთს უფრო მეტოქე რომ ფლობდა. მათი ბოლო შტურმიც გადავიტანეთ, ახლა კი მომდევნო თამაშზე ვფიქრობთ, ჯერ ყველაფერი წინაა. ნაკრებმა იმას უნდა მიაღწიოს, რისთვისაც აქამდე არასოდეს მიულწევია.“

ჩვენს გულშემატკივრებს კიდევ ვენაცვალეო, დააგვირგვინა სემბმა პრესკონფერენცია, თავი შინ მეგონა და უფრო უკეთაცო. „ფანების მხარდაჭერას მუდმივად ვგრძნობთ და მაღლობელი ვართ“ — ასეთია ვიკინგთა მწვრთნელის ბოლო სიტყვები.

მატჩის სტენოგრამა

10 — ეჩებერიას საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმული ბურთი ნორვეგიელთა კარის ხარიხამ აისხლიტა.

21 — მარცხენა ფლანგიდან ბერგდოლმომ საჯარიმოში ჩაჰკიდა. სოლსკიაერმა მეურვეს დაასწრო და თვით ესპანელთა კარში გადაგზავნა. მოლინა ვერ მისწვდა, ახლა ესპანეთი იხსნა ხარიხამ.

31 — სალგადოს მარჯვნიდან ჩაწოდებულს ტანმაღალმა ურსაისმა თავი შეაგება. ტომას მირემ ნახტომში მოიგერია.

41 — რაულის არცთუ ძლიერ დარტყმულ ბურთს ნორვეგიელთა მეკარე ნახტომში გადაეღობა.

42 — ვიკინგები ხელოვნურ თამაშგარეს შექმნას ცდილობდნენ, შეცდნენ, რაულმა ძღვენი ვერ შეირგო — მახვილი კუთხისკენ დარტყმული ბურთი კარს მცირედით ასცდა.

45 — ესპანელთა საჯარიმოში სოლსკიაერმა იეროსთან ბრძოლაში იმარჯვა, ბურთი მიიღო, შემოტრიალდა, გაისწორა, დაარტყა... მოლინა იოლად დაეუფლა.

53 — ისმაელ ურსაისს თავური გაუცუდდა.

54 — ფრანის შორიდან ტყვიასავით გასროლილს მეკარე მირე უხეიროდ დაუხვდა, თუმცა რაულს აჯობა და ბურთიც არ დაანება.

66 — მოლინას უაზრო შეცდომა ესპანეთს ძვირად დაუჯდა. სტეფან ივერსენმა მეკარეს საჰაერო დუელი მოუგო და ლამის საჯარიმოს ხაზიდან გამარჯვებისა შეაგდო — 0:1.

69 — მსაჯმა განდურმა მირე დაადანაშაულა და თავისუფალი ჯარიმა დანიშნა. გვარდიოლამ იეროს დაუგორა — ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა, გადმოვარდნილს სალგადო ამატებდა ძლიერად — ისევ მცველები და კუთხური.

78 — მიჩელ სალგადოს ძლიერად დარტყმული ოდნავ არაზუსტია.

80 — შეცვლაზე შესული ვალენსიელის — გაისკა მენდიეტას კუთხიდან დარტყმულს, ანდრე ბერგდოლმო ვარდნაში გადაეფარა.

B ჯგუფი. II ტური. 14 ივნისი. 23⁴⁵

იტალია — ბელგია

ბრიუსელი. „მეფე ბოდუენი“.მსაჯი: გარსია არანდა (ესპანეთი)

მალდინის დავიწყებია

REUTERS ტიელენიდან

ჟილ დე ბილდე დღევანდელ მატჩს ელის და ახსოვს: 13 ნოემბერს იტალიელებს მანაც გაუტანა. გაიმეორებს?

დღეს B ჯგუფის მთავარი მატჩია, ბელგიელები მშობლიურ „მეფე ბოდუენზე“ იტალიელებს დაუხვდებიან. პირველ ტურში ორივე ნაკრებმა საკამათო გოლებით მოიგო, თუმც ეს აღარაფერს წყვეტს და საერთოდ ცალკე საუბრის თემაა. მთავარი ის გახლავთ, რომ დღევანდელი შეხვედრის გამარჯვებული ცალი ფეხით მეოთხედფინალში იქნება, მაგრამ შეიძლება სხვაგვარადაც მოხდეს.

ვთქვათ, იტალიამ მოიგო. თუ შვედებმა ხვალ თურქეთი დაამარცხეს, ხოლო ბოლო ტურში „სკუადრა აძურასაც“ სძლიეს, ბელგიამ კი თავის მხრივ თურქეთს აართვა სამი ქულა, ჯგუფში სამი ექვსქულიანი გუნდი იქნება და მეოთხედფინალისტთა ვინაობას ბურთების შეფარდება განსაზღვრავს.

მეორე ვარიანტიც. დღეს თუ ჩემპიონატის მასპინძლებმა იმარჯვეს, ხოლო თურქეთი შვედეთს გაუსწორდა, მესამე ტურში იტალიელთა და თურქთა მოგების შემთხვევაში ისევ სამ ექვსქულიან გუნდს მივიღებთ, ოღონდ შვედთა ნაცვლად მესამე თურქეთი იქნება.

ვარიანტები მრავალია და მისი გათვლა უფრო გართულდება, თუ დღევანდელი შეხვედრა ფრედ დასრულდა. ბოლოს ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ჯგუფის ოთხივე გუნდმა ოთხ-ოთხი ქულა დააგროვოს, სეირი მაშინ ნახეთ.

თუმცა ოთხი ქულის იმედად ყოფნა არავის სურს. პაოლო მალდინი: „ცხადია, მოგებისთვის ვიბრძოლებთ, ხელს ფრეც არ გვაძლევს. მახსოვს, წინა ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპი ოთხი ქულით დავასრულეთ და შინ დავბრუნდით. დღეს მძიმე თამაში გველის. რობერ ვასეჟის გუნდი ძალიან მომეწონა, შვედებთან კარგად ითამაშეს თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გვეშინია. ჩვენ ხომ იტალიელები ვართ და ფეხბურთსაც მუდამ ბელგიელებზე უკეთ ვთამაშობდით“. იტალიელთა კაპიტანი აქ მხოლოდ ნახევარ სიმართლეს ამბობს. კი, „სკუადრა აძურა“ „წითელ ეშმაკუნებზე“ მრისხანედ ჟღერს და ტიტულების რაოდენობითაც საკმაოდ შორს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ... 1999 წლის 13 ნოემბერს ლეჩეში ჟილ დე ბილდეს, ბარტ გოორის და მარკ ვილმოტსის სამ გოლს იტალიელებმა პარმელი პაოლო ვანოლის მხოლოდ ერთით უპასუხეს და დიდი სირცხვილიც ჭამეს. დინო ძოფს სანუგეშოდ მხოლოდ ის ჰქონდა, რომ შეხვედრა ამხანაგური იყო. აქვე ერთი ფაქტიც აღვნიშნოთ. მას მერე, რაც 1977 წლის 21 დეკემბერს ლიეჟში იტალიამ 1:0 მოიგო (ანტონიონის გოლით), „სკუადრა აძურას“ ბელგიელთა დამარცხება აღარ ღირსებია. ლიეჟური მატჩის მერე გუნდები კიდევ ოთხჯერ შეხვდნენ, სამი ფრედ დასრულდა, ბოლო ლეჩეში კი... თუმცა, ამაზე ზემოთ მოგახსენეთ.

ლეჩეში გამართულ შეხვედრას ბელგიელთა თავკაცი რობერ ვასეჟიც უკეთებს კომენტარს: „იმ თამაშის მოგება დღეს ბევრს აღარაფერს ნიშნავს. ის ამხანაგური მატჩი იყო და ფეხბურთელებიც მოედანზე სულ სხვა განწყობით გავიდნენ. ცხადია, გარკვეული დასკვნების გაკეთება შეიძლება, მაგრამ დინო ძოფი ალბათ, ამჯერად განსხვავებულ ტაქტიკას შემოგვთავაზებს და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ“.

წინასწარი ცნობით, თურქებთან მატჩის მერე დინო ძოფს შემადგენლობის გადახალისების სურვილი არ გასჩენია. ეს კი ნიშნავს, რომ მწვრთნელი შეტევაში კვლავაც ფილიპო ინძაგი — ფრანჩესკო ტოტის წყვილს გაამწესებს. უდინეზელი სტეფანო ფიორე ოდნავ უკან გამაგრდება, ხოლო ალესანდრო დელ პიერო მატჩის დაწყებას ისევ სათადარიგოთა სკამზე შეხვდება. აქვე ფიორეს მოსაზრებასაც გავეცნოთ: „ვეჭვობ, ბელგიელებს პირადად ჩემი შიში ჰქონდეთ, მაგრამ ვფიქრობ, იტალიის ნაკრებისა ნამდვილად ეშინიათ“.

რობერ ვასეჟის გუნდში კი ერთ ცვლილებას უნდა ველოდეთ. შვედებთან მატჩში 72-ე წუთზე ფილიპ ლეონარის ნაცვლად შესული ნიკო ვან კერკჰოვენის თამაში მწვრთნელს ძლიერ მოსწონებია და გელზენკირხენელ ფეხბურთელს ამჯერად სასტარტო შემადგენლობაში ანდობს ადგილს.

სხვა კი რა? სინიორ დინო ძოფი აჯობებს მესიე რობერ ვასეჟს, თუ პირიქით, დღეს საღამოს გამოჩნდება. იქამდე კი ზემოთ მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებს ერთიც მივამატოთ. ევროპის ჩემპიონატებზე იტალია და ბელგია ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. 1972 წელს ბელგიელებმა მეტოქე მეოთხედფინალიდან გამოაგდეს, ხოლო 1980-ში ფრედ დასრულებულმა მატჩმა იტალიელებს ფინალის გზა გადაუკეტა და ეს პატივი ბელგიელებს ერგოთ.

გიორგი დარჯანია

სავარაუდო შემადგენლობები

იტალია: ფრანჩესკო ტოლდო; ფაბიო კანავარო, პაოლო მალდინი, ალესანდრო ნესტა; სტეფანო ფიორე, ჯანლუკა ზამბროტა, ჯანლუკა პესოტო, დემეტრიო ალბერტინი, ანტონიო კონტე; ფილიპო ინძაგი, ფრანჩესკო ტოტი

ბელგია: ფილიპ დე ვილდე; ერიკ დეფლანდრე, იოს ვალგაერენი, ლორენცო სტალენსი, ნიკო ვან კერკჰოვენი; ივ ვანდერჰეიგი, მარკ ვილმოტსი, ბარტ გოორი, გერტ ვერჰეიენი; ემილ მპენზა, ბრანკო შტრუპარი

ურთიერთშეხვედრები

	იტალია 18 ბელგია	
11	მოგება	3
4	ფრე	4
3	წაგება	11
35	ბურთები	20

REUTERS გრეგენდორნიდან

ფილიპო ინძაგი, ლუიჯი დი ბიაჯო, ანტონიო კონტე და პაოლო მალდინი ჩინებულ ხასიათზე არიან

ორიოდ სიტყვა აშრაზმ

ბარტეზი და შმაიხელი: სიმპათიები კარიდან კარში

ძველი და ახალი მანჩესტერელები: პიტერ შმაიხელი (მარჯვნივ) და ფაბიენ ბარტეზი

ბრიუგეს „ბრეიდელზე“ მეორე ტაიმი მიმდინარეობდა, როდესაც საფრანგეთის ნაკრების მეკარემ, ფაბიენ ბარტეზმა დანიელი კოლეგა პიტერ შმაიხელი მასსავით საჯარიმოდან გასული შენიშნა. მეკარეებს შორის განსხვავება ის გახლდათ, რომ ბარტეზს ფერხთ ბურთი ჰქონდა, შმაიხელს კი არა. იფიქრა ფრანგმა, იქნებ გამიმართლოსო და ამოსცხო ბურთს, მაგრამ ისეთი რამ გამოუვიდა, მავანი მის ჩანაფიქრს შესაძლოა სულაც ვერ მიმხვდარიყო. ბურთმა შშვიდად გაიფრინა 70 მეტრი და დანიელის ფერხთ ბუშტივით დაეშვა.

ეს გახლდათ სასეირო მომენტი, რომელიც ერთი ხნის შემდეგ უკუმიმართულებით განმეორდა — შმაიხელმა დაარტყა, ბარტეზმა კი მშვიდად მიიღო.

რას ერჩოდნენ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალი და ძველი მეკარეები ერომანეთს? ნუთუ ფრანგს დანიელი და დანიელს ფრანგი იმ დონისა ჰგონია, რომ მთელი მინდვრის გადაღმიდან კარში დარტყმას უბედავს?

იქნებ გამოთქმული ეჭვი გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ თავისთავად ის გარემოება, რომ ბარტეზი და შმაიხელი ერთი მოედნის ორ კარში იდგნენ, რაღაცნაირ ინტერესს იწვევდა. უნებურად მოგაგონდებოდათ ფრანგის პრესკონფერენცია, რომელზეც დანიელის გვარი ყველა ბრუნვაში მოიხსენიეს: შმაიხელი დიდი მეკარე იყო, შმაიხელმა ეპოქა შექმნა, შმაიხელს კი არ ვედრები, შმაიხელის შეცვლა საამაყოა და ასე შემდეგ. შმაიხელის შემდეგ „იუნაიტედმა“ რამდენიმე მეკარე გამოსცადა, იყიდა და გაყიდა, მაგრამ დანიელზე ერთი სიტყვაც არავის წამოსცდენია. აი, ბარტეზი გამოჩნდა თუ არა, ატყდა ალიაქოთი, ხელად შედარება დაუწყეს.

და კვირას, ერთიცა და მეორეც „ბრეიდელზე“ იდგა. ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ, შემდეგ ერთი მარცხნივ, მეორე მარჯვნივ.

რა მენიშნა? ის, რომ ბარტეზიცა და შმაიხელიც საკუთარ თავში აბსოლუტურად დარწმუნებულნი ჩანან. ბარტეზი ისე დაადაჯჯებს, როგორც თავადი მამულში, შმაიხელმა კი მეორე ტაიმში, როდესაც ერთ-ერთი თანაგუნდელის ტრავმის გამო თამაში ცოტა ხნით შეჩერდა, ჯერ მწვრთნელთან მიირბინა (მაგრამ ისე, რომ ფაქტობრივად აქეთ მოიხმო) და რაღაცის მტკიცება დაუწყო, შემდეგ კი მოედნის ცენტრში დაბრუნდა, ფეხბურთელებლამის სათითაოდ გამოიძახა და კატეგორიული ტონით მიუთითა სად, რატომ და როგორ. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ფეხბურთელებიც კარისკაცული მორჩილებით ასრულებდნენ გოლკიპერის განკარგულებებს, რომლებიც დიდ პიტერს მთელი მატჩის განმავლობაში არ დაუშურებია.

დიახ, ბარტეზიცა და შმაიხელიც საკუთარ თავში აბსოლუტურად დარწმუნებულნი მეჩვენნენ, შემდეგ გამახსენდა ბექემი, კინი, სხვა მანჩესტერელები და როდესაც ალექს ფერგუსონსაც მივწვდი, ვიგრძენი ის აურა, რომელიც, ალბათ, „ოლდ ტრეფორდს“ აკრავს გარს.

ახალი წესი მეკარეთათვის

ევროპის ჩემპიონატზე უკვე რვა შეხვედრა გაიმართა და შეამჩნევდით, მეკარეები ბურთს რომ იღებენ, საჯარიმოში იმდენ ნაბიჯს დგამენ, რამდენიც სურთ, არადა, ოთხ ნაბიჯზე მეტის უფლება, წესით, არ უნდა ჰქონდეთ. ისინი კი ამას არად დაგიდევენ და თურმე არც გაემტყუნებათ: უეფამ ძველი წესი ახლით შეცვალა.

ერთი სიტყვით, ოთხი ნაბიჯის წესი გაუქმდა, ექვსი წამით ბურთის ფლობისა — დარჩა. თუმცა, ვეჭვობთ, შეგენიშნოთ წამმზომმომარჯვებული არბიტრი, რომელიც ითვლიდეს, როდის იღებს მეკარე ბურთს და იშორებს მას. შვეი მსაჯი ანდრეს ფრისკი განმარტავს: „მეკარის მოძრაობით ვხვდები, რას აპირებს. თუ ეტყობა, რომ უნდა დაარტყას, წამმზომზე დახედვა აღარ მჭირდება“.

ძირან ოდიშვილი

12 ივნისი

EURO 2000

ევროპის ჩემპიონატის დღიური

უეფამ ბექემს შეიძლება თითზე უკბინოს

THE SUN

ასე „მიესალმა“ დევიდ ბექემი ინგლისელ ქომაგთა ნაწილს

პორტუგალია — ინგლისი დამთავრდა. ინგლისელმა დევიდ ბექემმა და პორტუგალიელმა ლუიშ ფიგუმ შვიდნომრიანი მაისურები გაცვალეს, ხელი ხელს დაჰკრეს და გასახდელისკენ დაიძრნენ. გზად ფიგუმ ორივე ხელი აღმართა — პორტუგალიელ გულშემატკივარს მიესალმა. ბექემმაც აღმართა, ოღონდ მარჯვენა ხელის შუათითი. ამით იგი იმ ინგლისელ ფანთა ნაწილს „მიესალმა“, რომელიც დამარცხებას გაეცოფებინა და ფეხბურთელებს ლანძღვა-გინება არ მოაკლო.

ბექემის ჟესტი ფოტო და ვიდეო კამერებმა დააფიქსირეს და მალე ნივთმტკიცება უეფა-ს მაგიდაზე აღმოჩნდა. მეტიც, მატჩის მსაჯ-დელეგატებმა ფეხბურთელის საქციელი ოფიციალურ ოქმში აღნუსხეს და სადისციპლინო კომიტეტს მიართვეს. ახლა ბექემის ბედი ამ კომიტეტის ხელშია, არაა გამორიცხული, ფეხბურთელი დაისაჯოს.

გაირკვა, რომ ინგლისელ ფანთა აღნიშნული ჯგუფი მატჩის დასაწყისიდანვე აგინებდა არა მხოლოდ ბექემს, არამედ მოედანზე მყოფ „მანჩესტერ იუნაიტედის“ დანარჩენ ფეხბურთელებსაც — პოლ სქოულზს, გარი და ფილ ნევილებს. დაახლოებით წარმომიდგენია, რას ამბობენ აღშფოთებული ბექემისტები: „რა გაუჩმახეს ამ ბიჭს საქმე. აბა, რომ შეგაგინებენ, პასუხი არ უნდა გასცე?! სხვას რა, არ უჩვენებია შუათითი მაყურებლებისთვის?“ უჩვენებია, როგორ არა და ამისთვის ნაკრების კარიც მიუხურეს. ექვსი წლის წინ, ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე შტეფან ეფენბერგი დაახლოებით იმ მასშტაბის ფიგურა იყო გერმანიისთვის, დღევანდელი ინგლისისთვის ბექემი რომ გახლავთ. თანაც, რაღა მაინცდამაინც ეს შეეპასუხა? სქოულზი და ძმები ნევილები ნაკლებად განიცდიან გინებას და უფრო მშვიდი ნერვები აქვთ?

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ამ ფაქტზე კომენტარი უკვე გააკეთა, ოღონდ მითქმა-მოთბმას ოდნავ შეუცვალა მიმართულება: „იმ პირმყრალ გულშემატკივართა ადგილი ციხეშია და არა ტრიბუნაზე. ძალიან გაგვიხარდება, თუკი მათ დაიჭერენ. ნაღდად ინგლისელები არიან, ოღონდ ჩვენი ქომაგებისთვის გამოყოფილ სექტორში არ ისხდნენ. ისიც ვიცით, რომ მთვრალები იყვნენ. უეფას ვთხოვთ, გაამკაცროს უსაფრთხოების ზომები, რათა ასეთი ხალხი თამაშზე ვერ მოხვდეს და მომავალში მსგავსი შემთხვევები გამოირიცხოს“.

ინგლისელებს კი მართლა ჰქონდათ აღშფოთების საბაბი. პორტუგალიასთან მარცხს ზოგი ვის აბრალებს, ზოგი — ვის. ახლა აღმოჩნდა, რომ დევიდ სიმენს კარგა წამოზრდილი გავა-ღიპის წამოწევა უჭირს და ამიტომ ვერ ხტება; ტონი ადამსს სისწრაფესთან ერთად მხედველობა და მანძილის შეგრძნება მოაკლდა; ინსი და უაიზი დავა-კამათს უფრო მეტ დროს უთმობენ; ოუენი ბურთზე მეტად მსაჯ-მეტოქეებთან ურთიერთობს; შირერი უჯიგრო გამხდარა; ჰესკი რაგბიში უფრო გამოდგება და ასე დაუსრულებლად. მე რომ ინგლისელი ვიყო, ახლა ნაკლებად გავბრაზდებოდი, რადგან ძირითად აღშფოთებას ამ წელიწადნახევრის წინ გამოვთქვამდი, როცა მწვრთნელი გლენ ჰოდლი გუნდიდან გაუშვეს.

„რა კაცი ვერ შეიფერეთ მწვრთნელად!“ — ასე ვამთავრებ ხოლმე საუბარს ინგლისის ქართველ გულშემატკივრებთან, რომელთა შორის ძალიან ბევრი ჩემი მეგობარია. რაოდენ საოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, ამ ჩემს ფრაზას საპასუხო არგუმენტი აღარ მოჰყვება ხოლმე. არადა, ამ ხალხთან არათუ კამათი, საუბარიც ძალიან რთულია: ისინი თვლიან, რომ სერ სტენლი მეტიუზს ფეხბურთისთვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე პელეს, კრუიფს და მარადონას ერთად აღებულთ; რომ სტალინს ამქვეყნად მხოლოდ ჩერჩილის რიდი ჰქონდა და ის რომ ოთახში შემოდიოდა, ფეხზე დგებოდა; რომ ინგლისში წვიმა საერთოდ არ მოდის და ვინც საწინააღმდეგოს ამბობს, იქაურებისა შურს. მე კი მგონია, რომ ჰოდლის ხელში ინგლისმა ყველაზე თანამედროვე ფეხბურთი ითამაშა და რაც დრო გავიდოდა, პროგრესი უფრო აშკარა გახდებოდა. მიჰქარა იმ ჩემი ცოდვით სავსე ჰოდლმა და ალაპარაკდა, ოღონდ არა ფეხბურთზე, არამედ სულთა გადასახლებაზე. ელაპარაკა მერე, რომელი ციცერონი ეგ მყავდა, მის ნათქვამს ქვეყანა გადაებრუნებინა.

ინგლისელთა ახლანდელმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა წაგების გამო ყურები არ ჩამოყარა. მან პორტუგალია — ინგლისს „არაჩვეულებრივი მატჩი“ უწოდა და დასძინა: „პორტუგალიამ, მე რომ მიყვარს, ისეთი ფეხბურთი ითამაშა. ნეიტრალური კაცი რომ ვყოფილიყავი, თამაშს დიდი აღტაცებით ვუყურებდი. სამწუხაროდ, ნეიტრალური არა ვარ. პორტუგალიელები ნიჭიერები რომ იყვნენ, ვიცოდი, მაგრამ ასეთი მტკიცე ხასიათი თუ ექნებოდათ, ვერ წარმოვიდგენდი. ისინი ალპინისტებს ჰგავდნენ — ურთულეს მწვერვალზე ასვლა დაისახეს მიზნად და ავიდნენ კიდეც“.

კიგანს არც თავისიანების გაკრიტიკება დავიწყნია და აღნიშნა, რომ მოედნის ცენტრის დათმობა წაგებად დაგვიჯდა, 2:0 რომ ვიგებდით, მეტოქისთვის ამდენი თავისუფლება არ უნდა მიგვენიჭებინაო. კეთილი, მაგრამ მეტოქე თავისუფლებას რომ გაძლევს, იმას გამოყენება უნდა. პორტუგალიელთა ბედად, მათ ჰყავდათ ისეთი კაცი, ვინც ამის გაკეთება მოახერხა.

პორტუგალიაში მყოფმა „სარბიელის“ მესვეტემ ამას წინათ ქორეოგრაფიაშიც გაგვანათლა და იქაური ცეკვა, სარდანა გაგვაცნო. სარდანა იმისთანა რამაა, დირიჟორი რომ სჭირდება. ამასთანავე, „სარბიელის“ ფურცლებზე ავთანდილ გურასაშვილი ხშირად გვესაუბრება ამა თუ იმ სირდარზე, რაც შერპ მთამსვლელთა უფროსს ნიშნავს. პორტუგალია — ინგლისის მატჩისას ლუიშ ფიგუ თავისიანთა სარდანის დირიჟორიც იყო და სირდარიც.

სწორედ მისი ნასარდან-ნასირდარალით შემოატრიალა პორტუგალიამ თითქმის წაგებული თამაში და ისეთი სამი გოლი გაიტანა, მთელი დღე რომ შეგიძლია არჩიო. ბედნიერებაა, ფიგუ რომ გყავს, მაგრამ პორტუგალიის უეჭველ ფავორიტებში ჩარიცხვა ჯერჯერობით ნაადრევია. მართალია, გუნდმა შესანიშნავად ითამაშა ერთ საათზე მეტი, მაგრამ მანამდე ის ოცი წუთიც იყო, რომლის გამოც პორტუგალიის უცილობელ სიძლიერეზე საუბრისგან ჯერ თავს შევიკავებდი. ისე, ძალიან კონტრასტული გუნდი ყოფილა და არა მხოლოდ თამაშის მიხედვით. საოცარია, როცა გვერდიგვერდ თამაშობენ ნუნუ გომეში და აბელ შავიერი. პირველს ნახატებზე გამოსახული ანგელოზის სახე აქვს, მეორე კი... ლუციფერი არ მინახავს და ღმერთმა არ მანახოს, მაგრამ საოპერო ეშმაკს ჰგავდა ძალიან.

პორტუგალიური გაზეთები გამარჯვებას დიდი ამბით გამოეხმაურნენ. „უკეთესს ვერც წარმოვიდგენდით“, „ლეგენდარული მოგება“, „ახლა მიგზვდით, რომ ჩვენი ფეხბურთელები ვაჟკაცები არიან“. ფიგუ და რუი კოშტა ეროვნულ გმირად — თუ რა ცოდვა ერჩი, აქვთ გასახარი მიზეზი და...

ეს თამაში ეინდჰოვენში გაიმართა, სადაც 20 ათასამდე ინგლისელ ფანს ელოდნენ. ქალაქში 12 ათასი ალბიონელი ჩავიდა, იქიდან კი 8 ათასს აღმოაჩნდა ბილეთი. იქაურ პოლიციას სამუშაო შეუმსუბუქდა. თანაც, ფანებმა მშვიდობიანად აღნიშნეს თავისიანთა დამარცხება — ეინდჰოვენს უჩუმრად გაეცალნენ. ერთადერთი ინგლისელი დაიჭირეს — ჩრდილოეთ ინგლისის ქალაქ იორკიდან ჩამოსულმა 39 წლის ფანმა პოლიციელი შეურაცხყო. ეს კაცი გვარიანად გამომთვრალიყო, ამისთვის იგი გამოსაფხიზლებელში მოათავსეს და ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, შეიძლება გამოშვებულიც იყოს. ეინდჰოვენის პოლიციას უფრო დიდი პრობლემა ბილეთების გადამყიდველებმა შეუქმნეს. მატჩის წინ სპეკულანტობისთვის 30 კაცი დაიკავეს, მერე ჯარიმა გადაახდევინეს და გაათავისუფლეს.

გერმანია — რუმინეთმა საოცრად მომგონა ვეტერანთა მატჩი. გარკვეულწილად ასეც იყო. მოედანზე მყოფ გერმანელთა საშუალო ასაკი 30 წელი და ერთი თვე გახლდათ, რუმინელთა — 29 წელი და 3 თვე. 19 წლის კრისტიან კივუს გამომყვანს რა ვუთხრა, თორემ რუმინელებიც გადაცდებოდნენ 30 წლის ზღვარს. საერთოდ, ამ მატჩში სამი-ოთხი საფეხბურთო თაობის ხალხმა მიიღო მონაწილეობა. აგერ, დიდი გერმანელი, 39 წლის და 3 თვის ლოთარ მათეუსი, რომელსაც კივუ ცხოვრებისეულად შვილად ეკუთვნის, ხოლო საფეხბურთო გაგებით — შვილთაშვილად.

გერმანელთა შორის ყველაზე უმცროსი 26 წლის და 3 თვის იენს იერემისი გახლდათ, რუმინელებში კი (კივუს თუ არ ჩავთვლით) მასზე ერთი თვით უმცროსი ადრიან ილიე. მის თანაგუნდელებში ყველაზე უფროსმა, 35 წლისა და 4 თვის გეორგ ჰაჯიმ ერთი ორი ჰაჯური რამ კი მოიმოქმედა, მაგრამ მერე, ჩანს, დაიღალა, ნერვებიც მოეშალა და ყველა, თავისიც და სხვისიც, გინებით აიკლო. მათეუსი კი თუნდაც იმიტომ უნდა ყოფილიყო მოედანზე, რომ მოლდოვანის ცარიელ კარში დარტყმულს გადაღობებოდა.

ჭადრაკში არის წესი, რომლის მიხედვითაც მეტოქეებს თამაშის განუახლებლად ყიმზე შეთანხმება შეუძლიათ. მომეჩვენა, რომ მეორე ტაიმის დაახლოებით შუაწელში მატჩის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ წესის ფეხბურთში შემოღებაზე დიდი სიამოვნებით დათანხმდებოდა. აღარ შეეძლოთ მოძრაობა და რა ექნათ?! მერე რუმინელებში გამოჩნდა 21 წლის ადრიან მუტუ, რომელიც მილანის „ინტერში“ ტყვიასავით დაქრის, აქ კი ერთ-ერთი შეჯახებისას, წელკავიანი ბერიკაცისა არ იყოს, მინდორზე წამოწოლაც გაუჭირდა.

ისე, კარგი იქნებოდა, გერმანელები და რუმინელები ამ შემადგენლობებით წინა ან წინის წინა ჩემპიონატზე დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს.

გაიოზ დარსაძე

სპეციალისტის ჯერი

ფეხბურთის განვითარება მასში ჩადებული თანხების და სანახაობრივი მხარის პროპორციულ ზრდას რომ გულისხმობს, ამის დასტური ორშაბათს გამართული პორტუგალია — ინგლისის მატჩიც გამოდგა.

ეს იყო ფეხბურთის დღესასწაული, რომელმაც, დარწმუნებული ვარ, გულგრილი არავინ დატოვა.

ინგლისელებმა შესანიშნავად დაიწყეს თამაში და ორბურთიან უპირატესობას იმაზე ბევრად ადრე მიაღწიეს, ვიდრე ამას ვინმე წარმოიდგენდა. ასეთ დროს ხშირად სულით ეცემა მეტოქე. დღევანდელ ფეხბურთში 0:2 მატჩის მიმდინარეობისას კი არა, ორრაუნდიან სათასო შეხვედრებშიც ძნელი გასაბათილებელია. არადა, გაბათილდა. პორტუგალიელები ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებულნი გამოდგნენ, თამაშზე ხელი არ ჩაიქნიეს და ნაადრევად დაარხეინებული მეტოქის ყველა სუსტი წერტილი სათავისოდ გამოიყენეს.

პორტუგალიას ყველა სათამაშო რგოლში ძლიერი ლიდერი აღმოაჩნდა — მეკარე ვიტორ ბაია, მცველი ფერნანდუ კოუტუ, ნახევარდაცვაში სულაც რუი კოშტა — ლუიშ ფიგუს შეხმატკბილებული წყვილი და თავდასხმაშიც ქართული ფეხბურთის ძველი ნაცნობი ნუნუ გომეში.

სწორედ ლიდერთა ერთნაირად ძლიერმა თამაშმა აპოვნინა პორტუგალიას ძალა, რომლითაც ფაქტობრივად სასწაული მოახდინა.

ლუიშ ფიგუს გოლი ბრწყინვალე ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი იყო. ასეთ გოლს, ცხადია, თამაშამდე ვერ დაგეგმავ, მაგრამ ფიგუსნაირი ფეხბურთელისგან ყოველთვის უნდა ელოდე.

პორტუგალიელთა ბოლო ორი გოლი რუი კოშტას ჩინებულ გადაცემებს მოჰყვა. მისი პასები შესანიშნავად გამოიყენეს ჟოაუ პინტუმაც და ნუნუ გომეშმაც. რუი კოშტამ ამ ორის გარდა კიდევ 56-ჯერ მიაწოდა ბურთი ზუსტად პარტნიორებს. ეს კი ასეთი დონის მატჩებში ჩინებული შედეგია.

რა თქმა უნდა, უმაღლესი დონისა იყო დევიდ ბექემის საგოლე ჩაწოდებებიც. ბექემმა ერთხელაც დაადასტურა, რომ საჯარიმოში მასზე უკეთ ბურთს ვერავინ აწვდის.

მაგრამ ინგლისმა ძალიან სუსტად ითამაშა დაცვასა და ნახევარდაცვაში ართმევისას და შეხვედრაც ძირთადად ამ მიზეზით დათმო.

პორტუგალია — ინგლისის მატჩში თავმოყრილი იყო ფეხბურთის მთელი მშვენება — სწრაფი, კონტრშეტევებზე აგებული თამაში, ინდივიდუალური ოსტატობის მაღალი დონე, იმ ვარსკვლავთა სიმრავლე, რომლებიც შავი სამუშაოს შესრულებას არ ერიდებიან, არ არღვევენ სათამაშო დისციპლინას და ასეთი სერიოზული ტურნირის დროს პირველ ადგილზე გუნდურ ინტერესებს აყენებენ. ასეთი ფეხბურთელები თანაბრად სასარგებლოდ თამაშობენ როგორც შეტევისას, ასევე დაცვისას. ეს კი მათ თამაშს სრულყოფილად და, აქედან გამომდინარე, მიმზიდველად აქცევს.

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ პორტუგალია ნლების მანძილზე დიდ ყურადღებას აქცევდა ბავშვთა ფეხბურთს და დღევანდელი გუნდიდან ხუთი ფეხბურთელი მსოფლიოს 20 ნლამდე ჩემპიონიც იყო 1991 წელს. ასეა, ის შრომა, ბავშვების აღზრდას რომ სჭირდება, შედეგს გვიან, მაგრამ აუცილებლად იძლევა.

A ჯგუფის მეორე მატჩი, რომელიც უფრო ადრე გაიმართა, ჩემპიონატის ყველაზე ხანდაზმული გუნდების შეხვედრა იყო.

გარდა იმისა, რომ ბევრმა გერმანელმა ფეხბურთელის საუკეთესო ასაკს უკვე გადააბიჯა, ევროპის ჩემპიონთა ნაკრებს მკაფიო ვარსკვლავებიც არ ჰყოფნის. გერმანიას აღარ ჰყავს იურგენ კლინსმანის, ანაც მათიას ზამერის დონის ფეხბურთელი, ლოთარ მათეუსი კი იმ ასაკშია, როცა ძნელი გასარკვევია, სარგებელი მეტი მოაქვს თუ ზიანი.

მაგრამ გერმანია ამ ფრის შემდეგ ულაპარაკოდ ჩამოსაწერი გუნდი მაინც არაა. ნუ გამოვრიცხავთ, რომ მათ მეტოქეებს გერმანული წესრიგი, შრომისუნარიანობა, თამაშის ორგანიზაცია სასვსებით აუვიდეთ. მიუხედავად იმისა, რომ ორშაბათს გერმანიამ ერთ-ერთი უფერული თამაში აჩვენა, მათზე ხელს ნაადრევად მაინც ნუ ჩავიქნევთ.

რუმინეთთან 1:1 ნათამაშევ მატჩში გერმანიამ ტრადიციული 3-5-2 სათამაშო სქემა გამოიყენა და ამით მეტ ფეხბურთელს მოედნის ცენტრალურ ნაწილში მოუყარა თავი. ამან ცენტრიდან შეტევა გააძნელა და რუმინელებმაც ფლანგური იერიშებით სცადეს მიზნის მიღწევა, ზურგსუკან პასი ბევრი იყო, რასაც მოჰყვა კიდეც ვიორელ მოლდოვანის გოლი.

მეჰმეთ შოლის გატანილი კი გერმანელთა სახიფათოობის დასტურია. თითქმის ყველა ფეხბურთელი კარგად თამაშობს ორივე ფეხით და მათგან შორეული დარტყმა ყოველთვისაა მოსალოდნელი.

საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელ რუმინელთაგან მეორე ტაიმში გეორგე ჰაჯის შემცვლელ ადრიან მუტუს გამოვყოფ. მას ჭაბუკთა ასაკის შესარჩევი ტურნირებიდან ვიცნობ და არ მომერიდება იმის თქმა, რომ მუტუ ჰაჯის დარად დიდი დიაპაზონის ფეხბურთელია, სავარაუდოა, რომ რუმინეთის ნაკრებთან გეორგე ჰაჯის გამოთხოვების შემდეგ მის ადგილს სნორედ ადრიან მუტუ დაიკავებს.

ორშაბათის ამ მატჩში ბურთს უფრო დიდხანს გერმანელები აკონტროლებდნენ, მაგრამ რაკი მათ შეტევებს სიმწვავე აკლდა, ვთვლი, საყაიმო შედეგი სავსებით კანონზომიერია.

სულერთიაობა

მოგება-წაგებას და მწვრთნელთა რაოდენობას ნაკრებისთვის ერთი ფასი აქვს?

1998 წლის 18 ნოემბერი. საქართველო — ესტონეთი 3:1. გუცაევისას ესტონელებს სათადარიგო ნაკრებმა მოუგო

ფოტო ალექსანდრ ალექსიძის

ლათინური სიტყვა რეგრესი, რაც ჩვენებურად უკუსვლას, დაქვეითებას ნიშნავს ზედგამოჭრილია საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის, რამეთუ უკუსვლა თვალსაჩინოა. ამდენი უჯიგრობისა და უილაჯობის გადამკიდე ქართული ფეხბურთი ფიფას რეიტინგში ფსკერისკენ მიექანება.

ჰაოს-ქართლოსის ძმობის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, საძმოდ ჩავიდნენ ქართველები ერევანში და ძმებად დაშორდნენ სომხებს.

სომხური ფეხბურთის ორი თვალსაჩინო ფიგურა — არკადი ანდრიასიანი და ხორენ ოგანესიანიც წლების განმავლობაში ერთმანეთთან უბრად იყვნენ, ქართველმა შეარიგა.

აზერბაიჯანში აქეთ ტარაკნებმა არ დაგვისვენეს ბიჭები, იქით ის ოხერი ბაქოელი მსაჯი ემხრობოდა თავისიანებს. რა საჭირო იყო სიტუაციის გამწვავება და კეთილმეზობლური ტრადიციების დარღვევა. თანაც აზერბაიჯანელებს შინაურ ჩემპიონატში სულ ბუნტი აქვთ, ისედაც სამიოდ ტურს ატარებენ მთელი წლის მანძილზე და ასეთ ტანჯულ საფეხბურთო ქვეყანასთან გამარჯვება რა ვაჟკაცობაა. იყოს ფრე, გაიხარონ „საწყალმა" აზერბაიჯანელებმა.

ესტონეთი, განსაკუთრებით ტალინი ძალიან გვიყვარს. იქაურებთან და იქაურობასთან ბევრი კარგი და სასიამოვნო მოგონება გვაკავშირებს. ტალინში უამრავი ადგილია, სადაც კაცი ადამიანურად დაისვენებს და გაერთობა. თანაც სეზონი დამთავრებულია, მოთამაშეები გადაღლილები არიან და რა დროს ფეხბურთია. ბიჭებმა წელიწადში ერთხელ თავიანთ გემოზე ხომ უნდა დაისვენონ. დაისვენეს კიდეც, სამაგიეროდ, ესტონელებმა, რაც შეეძლოთ, როგორც შეეძლოთ, ისე იშრომეს და მოიგეს.

ალბანეთში, ალბათ, თოვდა. სლოვენიას ცენტი ვალი არ გააჩნია და მათ ნუ შევეტოლებით. საბერძნეთში ტურისტად შეიძლება წასვლა. ისე არ ვიყავით, თუ... იქ სანახავიც ბევრი რამაა და ფეხბურთის ერთ, სოლიდურ გაკვეთილსაც არ ამადლიან ქართველებს.

ნორვეგიამ ბრაზილიას მოუგო და ხომ არ გადაირიეთ, მათთან ტოლ-სწორად გაჯიბრება უფრო ტკბილი სიზმარია, ვიდრე რეალობა. მერე ინგლისი, გერმანია, იტალია. ჰო, იტალიაზე გამახსენდა. კი, ჩეზარე მალდინი გვეწვია სულ ნაქები და მრავალნაცადი აპენინელი ვარსკვლავებით, მაგრამ ვაჟკაცურად დახვდნენ ჩვენი ბიჭები. ხმის ჩახლეჩამდე აბღავლეს უფროსი მალდინი. იტალიასთან ნათამაშევმა ფრემ ინგლისელთა საქმე გააკეთა. ვიღაცას მაინც გამოვადექით და ესეც საქმეა.

კვიპროსის ტურნირზე გვარიანად ივარგა საქართველოს ნაკრებმა. სლოვაკეთი და სომხეთი დაამარცხა, რუმინელებთან საპატიო ფრე გაჩარხა (პენალტებით დამარცხება არ ითვლება). რა ვუყოთ მერე, რომ სლოვაკეთს ოლიმპიური ნაკრები ჩაეყვანა, რუმინელები ახალგაზრდული გუნდით ასპარეზობდნენ, ხოლო სომხები საუკეთესო მოთამაშეების გარეშე.

რამდენი ინტრიგანია ამქვეყნად. საიდან გამოჩხრიკეს ახლა ეს ოლიმპიური და ახალგაზრდული გუნდები, ანაც საუკეთესო სომეხი ფეხბურთელები სადღა არიან. არა, ძალიან უმადურია ეს ხალხი. გარჯასა და გამარჯვებას არავინ დაგიფასებს, ერთ დამარცხებას კი ძმრად გადენენ.

მორჩა, დასრულდა ზღაპარი. იქნებ დროა, რეალობას გუსწოროთ თვალი და ის ვიკითხოთ, რა უნდათ, რას მოითხოვენ ეროვნული გუნდის ფეხბურთელები, ან რატომ არ სურთ თამაში?

თამაში რომ არ უნდათ და ბოლო დროს მოედანზე მოვალეობის მოსახდელად გადიან, ეს სულაც არ გახლავთ ჩვენი მოგონილი. მწვრთნელების გამონათქვამებში არაერთხელ გაუჟღერია მსგავს პრეტენზიებს. რაღა ძველი ვიჩხრიკოთ, აგერ ორიოდ დღის წინ ნათამაშევი მატჩი და დავით ყიფიანის სიტყვები: „ჩვენი ფეხბურთელებით აღშფოთებული ვარ. მათ დღეს რატომღაც თამაში არ უნდოდათ".

ნაკრების ლეგიონერებს თბილისში ჩამოსვლის დღიდან არაერთი თავსატეხი უჩნდებათ. ტრავმების ალბათობა, ბევრი ორგანიზაციული პრობლემა, ათასი გამკითხავ-მომკითხავი, უხარისხო სავარჯიშო მინდორი და ასე შემდეგ. საფიქრალი და საფრთხილო ბევრია, მაგრამ ერთიორი გამონაკლისის გარდა ისინი მაინც პირველი დამახებისთანავე ჩამოდიან.

მოდით, თავს ნუ მოვიტყუებთ და ნუ ვილაპარაკებთ მხოლოდ პატრიოტულ გრძნობებზე. რა თქმა უნდა, არც უამისობაა, მაგრამ თითოეულ ქართველ ლეგიონერს ეროვნულ გუნდში თამაში თავისი საკლუბო კარიერისთვის სჭირდება. ნაკრების წევრს ევროპაში სულ სხვა ფასი აქვს და ამიტომაც მოდიან დაუზარებლად. ეროვნული ნაკრების წევრის სახელი — აი, უმთავრესი ფაქტორი ჩვენი ლეგიონერებისთვის.

ისევ დავით ყიფიანს დავესესხებით და ესტონეთთან მარცხის შემდგომ კომენტარს დავუბრუნდებით. „ისე, ერთიცაა — სეზონი დამთავრებულია და ყველა გადაღლილია. ესტონელებსა და აზერბაიჯანელებს კი შეგნებულად შევუთანხმდით ივნისში თამაშზე. გაისად სწორედ ამ დროს გვაქვს შესარჩევ ჯგუფში ორი მატჩი — იტალიასთან და უნგრეთთან".

გაისადაც დამთავრებული იქნება სეზონი. გაისადაც გადაღლილები იქნებიან და სადაა გარანტია, იგივე, ანაც უარესი არ მოგველის? ძალაუნებურად პოლონური ფიასკო მახსენდება. მაშინაც დაახლოებით ეს დრო იყო. ნაკრებს მაშინაც დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი წვრთნიდნენ. სამარცხვინო მატჩი იყო ქართველებისთვის. მატჩისშემდგომი, მესამე ტაიმიც, თვითმფრინავში რომ ჩატარდა, უფრო სამარცხვინო.

უნგრეთს კიდევ არა უშავს, იქნებ როგორმე გადაგორდეს, მაგრამ იტალია ხომ არც პოლონეთია და მით უმეტეს არც ესტონეთი.

ბოლოს ერთ, ვერაც პასუხგაუცემელ კითხვას დავსვამთ. რატომ, ვერც ერთმა მწვრთნელმა, შინაურმაც ვერ მოახერხა და გარეულმაც, ფეხბურთელთა მოთვინიერება? ამ კითხვის პასუხი ალბათ მანამდე არ გვეცოდინება, სანამ ვინმე, შინაურ სამზარეულოში ბოლომდე ჩახედული პიროვნება სრულ სიმართლეს არ იტყვის.

რა ხანია, მწვრთნელები საიმედო მეკარეს ეძებენ. დაცვაში უამრავი რამ იყო გასასწორებელი. კრიტიკა არც ნახევარდაცვასა და თავდასხმას მოჰკლებია, მაგრამ წინა ორთან შედარებით ამათ ნაკლები მოხვედრიათ.

სინამდვილეში რა გვაქვს? რა და, მეკარეები მოულოდნელად საიმედოდ და სტაბილურად ათამაშდნენ. მცველებმაც გამოასწორეს და ნელ-ნელა დახვეწეს თამაში, ხოლო ნახევარდაცვა და თავდასხმა ინერტული და უსუსურია. თუ ვერ გაუტან სომხეთს, აზერბაიჯანს, ესტონეთს, მაშინ იტალიასთან და რუმინეთთან ცენტრის ხაზთან მიახლოებაც გაგიჭირდება.

ამერიკელმა შეტევა ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე წამოიწყო, გზის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და სახიფათო მონაკვეთში, სადაც მემორიალური დაფაც არის. 1967 წლის 13 ივლისს, „ტურ დე ფრანსის“ დროს, აქ დიდი ბრიტანელი ტომ სიმპსონი დაღუპულა. „ჩემმა სპორტულმა დირექტორმა რაციით გადმომცა, რომ ლენსი მშვიდად ყოფნას არჩევდა და მთხოვა, ეტაპის მოგება მეცადა. საშწუხაროა, რომ ეს ცოტა ადრე არ მითხრა, მაშინ იქნებ ლურჯ-ყვითელი მაისურა გუნდში დარჩენილიყო“ — თქვა ჰამილტონმა, რომელიც ბასკ სუბელდიას მხოლოდ სამი წამით ჩამორჩა.

„ესკალტელის“ წევრი მშვენივრად გამოიყურება და „ტურზეც“ კარგი საანახავი იქნებოდა, მაგრამ მისი გუნდი ორგანიზატორებმა მიწვევის ღირსად არ ჩათვალეს, რასაც, ალბათ, ნანობენ კიდეც. „გვინდა, ამ „დოფინეზე“ გავიბრწყინოთ, რათა „ტურზე“ გაისად მაინც მიგვიწვიონ“ — განაცხადა სუბელდიამ.

მეხუთე ეტაპზე ბასკმა ლიდერის მაისურა მაინც დაკარგა და ეს ჰამილტონ-არმსტრონგის დუეტის ბრალია. ისევე როგორც „ჯიროზე“, „მერკატონე უნოში“, აქაც „პოსტალში“ როლების ცვლილება მოხდა. შარშანდელმა „ტურის“ მომგებმა არმსტრონგმა თავისი გრეგარისთვის წამუშავება გადაწყვიტა და ჰამილტონმაც ეს კარგად შეირგო. ამერიკელებმა ფინიშამდე თხუთმეტიოდე კილომეტრით ადრე შეუტიეს დღის მთავარ სიძნელე კორობენის მთაზე. „ბოლო ორი კილომეტრი საშინელი იყო. იძულებულიც გავხდი მისთვის დამშვიდება მეთხოვა. დაღმართი სახიფათო იყო, ის კი დამუხრუჭებას თითქოს არც აპირებდა“ — თქვა რბოლის შემდეგ ჰამილტონმა. მის თანაგუნდელს, ალბათ, იმის დამტკიცება უნდოდა, წინა დღეს უბრალოდ ვისვენებდი, თორემ მშვენიერ ფორმაში ვარო. და თუ მან ადრევე არ შეუტია და ყველას არ აჯობა, ეს იმიტომ, რომ თავისი გრეგარის გახარება უნდოდა. „მე საკმარისი გამარჯვებები დამგროვდა. ახლა შენი დროა, მიდი!“ — უთხრა არმსტრონგმა ფინიშის ხაზზე ადმირალ ნელსონის საყვარელი ქალის მოგვარეს.

29 წლის ჰამილტონიც აღფრთოვანებული იყო: „მან ჩემთვის ბევრი გააკეთა. ეს გენიალურია. ივლისში როლებს ისევ გავცვლით და თავსაც ვანაცვალებ“. ბოსტონელმა მრბოლმა, რომელიც ადრე სამთომოთხილამურე იყო, მაგრამ ტრავმის გამო ჩამოშორდა თხილამურებს, საერთო ჩათვლაში სუბელდიას გადაასწრო და ლურჯ-ყვითელი მაისურაც ბოლომდე აღარ დაუთმია. ეს მისთვის კარიერის ყველაზე დიდი წარმატებაა, თუმცა ერთგვარი უკმაყოფილების გრძნობა მაინც აქვს: „უნდა ვაღიარო, რომ ძალიან იმედგაცრუებული ვიქნები თუ კარიერის გარეგარად დამთავრება მომიწევს. თუმცა ჯერ მხოლოდ 29 წლის ვარ და იმედი მაქვს, ერთ დღეს მეც ვიქნები რომელიმე გუნდის ლიდერი“.

მეექვსე ეტაპი ბრიანსონში დამთავრდა იზოარის მთის გავლის შემდეგ. ეს გზა „ჯიროს“ პელოტონმაც დაფარა და „ტურის“ ერთ-ერთი ეტაპიც იქ მოეწყობა. ასე რომ, მეტად საინტერესო ეტაპი იყო, მაგრამ „ტურის“ მომავალ ფავორიტთაგან არავის გამოუდია თავი და გამარჯვებულიც ინიგო კუესტა გახდა.

პელოტონმა მხოლოდ ხუთი კილომეტრი გაიარა ერთიანად. ამის მერე ცამეტმა მრბოლმა იერიში განახორციელა. ლტოლვილების უპირატესობამ ოთხნახევარ წუთსაც მიაღწია. ვარის მთაზე, ფინიშამდე 80 კილომეტრით ადრე, შვიდმა მათგანმა ველარ გაუძლო და კომპანიონებს ჩამორჩა. იზოარის მთაზე კუესტამ სიჩქარეს მოუმატა და თავისი თანამემამულე ლასტრასის კონტრიერიშის მიუხედავად კარიერის მეორე გამარჯვებაც მოიპოვა. „წვიმდა, მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია. 1998 წელს „ბასკეთის ტურში“ რომ მოვიგე, მაშინაც წვიმდა“ — თქვა კუესტამ.

ბოლო მეშვიდე ეტაპი კი მასპინძლის გამარჯვებით დასრულდა. 31 წლის ლორან ჟალაბერმა კარიერაში 131-ედ მოიგო. იგი რბოლის დასაწყისშივე მოწყდა პელოტონს რვა სხვა მრბოლთან ერთად. გზაზე სიძნელეები თითქმის არ იყო, მხოლოდ ბოლოს იყო დომანსის აღმართი, რომელიც სპორტსმენებს ოთხჯერ უნდა დაეძლიათ. ჟალაბერმაც მესამე ასვლისას უგანა შეტევის კომპანიონებს და თავისი ჯალაბობის თვალწინ იმარჯვა. ახლა იგი საფრანგეთის ჩემპიონატამდე (26 ივნისი) აღარსად გამოვა, თუმცა იქ მოგებაზე ფიქრის ნაცვლად თავისი უმცროსი ძმის ნიკოლას დახმარება გადაუწყვეტია.

საერთო ჩათვლაში კი ჰამილტონის გადასწრება ვერავინ შეძლო, რაშიც არმსტრონგის დაშსახურება უდიდესია. „ამ შეჯიბრში ლენსმა თანაგუნდელებს უჩვენა, რომ გუნდის პატრონი ის იყო. გამარჯვება კი დიდსულოვნად დაუთმო ჰამილტონს“ — ასეთი დასკვნა გამოიტანა ტურნირის ორგანიზატორმა ტიერი კაზენევმა და მას ძნელია არ დაეთანხმო.

გაიოზ თალაძგაძე

მეოთხე ეტაპი

რომანი — მონ-ვანტუ, 159 კმ

1. ტაილერ ჰამილტონი (აშშ, პოსტალი)	4სთ 21წთ 26წმ
2. ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო)	+4წმ
3. კურტ ვან დე ვოუვერი (ბელგია, ლოტო)	+7
4. ჯონათან ვაუტერსი (აშშ, კრედი აგრიკოლი)	+9
5. ანდრეი კივილევი (ყაზახეთი, AG2R)	+11

მეხუთე ეტაპი

ბომი — დინი, 201 კმ

1. ტაილერ ჰამილტონი	5 სთ 25 წთ 13 წმ
2. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი)	იგივე დრო
3. პატრის ალგენი (საფრანგეთი, უან დელატური)	+46 წმ
4. რიკ ვერბრიუგე (ბელგია, ლოტო)	+46
5. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა)	+47

მეექვსე ეტაპი

დინი — ბრაიანსონი, 218 კმ

1. ინიგო კუესტა (ესპანეთი, ონსე)	6სთ 22 წთ 40 წმ
2. ნაბლო ლასტრასი (ესპანეთი, ბანესტო)	+19წმ
3. რიკ ვერბრიუგე	+3 წთ 31
4. მიკელ პრადერა (ესპანეთი, ესკალტელი)	+3 წთ 34
5. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ფესტინა)	3 წთ 43

მეშვიდე ეტაპი

სენ ჟან დე მორიენი — სალანში, 147 კმ

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე)	3 სთ 29 წთ 48 წმ
2. ფრედერიკ ბესი (საფრანგეთი, ჟან დელატური)	+45 წმ
3. ქსავიე ჟანი (საფრანგეთი, ჟან დელატური) — +1 წთ 20	
4. კრისტოფ ორრიოლი (საფრანგეთი, ჟან დელატური)	+1 წთ 20
5. ვისენტე გარსია-აკოსტა (ესპანეთი, ბანესტო)	+1 წთ 20

საბოლოო ჩათვლა

1. ტაილერ ჰამილტონი	30 სთ 22 წთ 07 წმ
2. აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ესკალტელი)	+31 წმ
3. ლენს არმსტრონგი	+36
4. ალექს ცულე	+1 წთ 42
5. ჯონათან ვაუტერსი	+2 წთ 56

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგე დე ბრუინი

ინგეს შვიდი საოცრება

„ახლა, როდესაც ჩემი კარიერის დასასრულს ვუახლოვდები, უნდა ვაღიარო, რომ იგი უკეთესია, ვიდრე დასაწყისი“ — თქვა ჰოლანდიელმა ინგე დე ბრუინმა 20 მაისს, როდესაც მონტე კარლოში გამართულ „მარე ნოსტრუმის“ საერთაშორისო ტურნირზე 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში კარიერაში პირველი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა (25,83).

მას შემდეგ ერთი თვეც არ გასულა და ჰოლანდიელმა კიდევ ექვსჯერ გამოიჩინა თავი, აქედან ბოლოს რიო დე ჟანეიროში, ბრაზილიის ზამთრის ღია ჩემპიონატში (არ გაგიკვირდეთ, იქ ახლა ზამთარია). დე ბრუინმა „დიდ წყალში“ 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ერთი კვირის წინათ ჰოლანდიის ჩემპიონატში დამყარებული თავისივე მსოფლიოს რეკორდი (24,48) გაუუჯობესა — 24,39 და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა თავისი სიტყვების სისწორეში, რომ კარიერის დასასრულს უკეთეს ფორმაშია.

— თავი სიზმარში მგონია, ვფიქრობდი, იქნებ ოდესმე მსოფლიოს რეკორდი დავამყარო-მეთქი, მაგრამ შვიდი ასეთი შედეგი წარმოუდგენლად მიმაჩნდა — თქვა 26 წლის ჰოლანდიელმა, რომელმაც 1996 წელს სპორტს თავიც კი დაანება და ერთი წლის მერეღა დაუბრუნდა საცურაო ბილიკებს. არადა, როგორც თვითონ ამბობდა, 1991 წლიდან საუკეთესო მოცურავეების მდევრის როლში იყო, დღეს კი მისი მსოფლიოს რეკორდების აკიდოს შემყურე სხვები გამოდიან მდევრის როლში.

საინტერესოა, რომ ბრუინმა სერიოზულ წარმატებას მხოლოდ შარშან, სტამბოლის ევროპის ჩემპიონატზე მიაღწია, როდესაც გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ორჯერ ავიდა, ახლა კი, როდესაც ჩინებულ ფორმაშია და რეკორდს რეკორდზე ამყარებს, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ფავორიტადაც ითვლება 50 და 100 მეტრზე თავისუფალი და 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში.

— ოლიმპიადისთვის მხოლოდ სამი რამე შემიძლია გავაკეთო: ვივარჯიშო, ვივარჯიშო და ისევ ვივარჯიშო. ძალიან მკაცრი სავარჯიშო მეთოდები მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ სიდნეიშიც კარგად ვიასპარეზებ — განაცხადა დე ბრუინმა.

ერთი სპორტსმენის მიერ შვიდი მსოფლიოს რეკორდის დამყარება სულ მცირე დროში, ცხადია, ბევრს ეჭვს აღუძრავს. თითქოს ასეთი შედეგების მიღწევა სხვა დამხმარე საშუალებების გარეშე შეუძლებელიაო, თუმცა ზოგიერთი სპეციალისტი ამას ბუნებრივად მიიჩნევს.

მათი აზრით, დე ბრუინის მიერ დამყარებული შვიდი მსოფლიოს რეკორდი ქალ მოცურავეთათვის შემობრუნებას, ანუ ბუნებრივ წინსვლას ნიშნავს. მაგალითად, 1980-81 წლებიდან მოყოლებული ქალთა და კაცთა მსოფლიოს რეკორდების დე ბრუინის დღევანდელ შედეგებთან შედარებისას შეგვიძლია თვალნათლივ დავინახოთ რამდენიმე საინტერესო ფაქტი: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კაცთა მსოფლიოს რეკორდები — 49,36 წამიდან შემცირდა 48,21-მდე მაშინ, როდესაც ქალთა მაჩვენებელმა — (54,79) დე ბრუინის 53,80-მდე იკლო.

იმავე დისტანციაზე ბატერფლაით ცურვაში კაცთა 53,81-დან 51,81-მდე დავიდა, ხოლო ქალებში — 57,93-დან დე ბრუინის 56,69-მდე. ეს კი სწორედ ის დისციპლინებია, რომელმაც ჰოლანდიელის მიმართ ეჭვი აღძრა, თითქოს მისი შედეგები არაკანონზომიერად ყოფილიყოს. ზემოჩამოთვლილის გათვალისწინებით კი ყველაფერი თავის ადგილზე დგება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვეულებისამებრ ქალთა საცურაო ტანჭნიკა კაცებთან შედარებით სუსტი ამიტომაცაა, რომ წლების მანძილზე მათ „პროგრესი“ არ განუცდიათ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში დე ბრუინის ტექნიკა „უკეთესია“, ვიდრე მისი მეტოქეებისა.

გიგა გურასაშვილი

ძნელია, როცა სველია

მოტორბოლთა მსოფლიოს ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპი კატალონიის წრეზე მოეწყო. ბარსელონასთან ახლოს მდებარე 4,7 კილომეტრიან ტრასაზე, საკმაოდ რთულ პირობებში (დროდადრო წვიმდა) ლიდერებმა ძირითადად შეინარჩუნეს პოზიციები, თუმცა სველმა ასფალტმა ბევრს დაუდო კვანტი. რბოლას გამოეთიშნენ მსოფლიოს ჩემპიონები ალექს კრივილე და ემილიო ალზამორა, კარლოს ჩეკა, იტალიელები მარკო ჯიანსანტი და რობერტო ლოკატელი...

კლას 125-სა და 250-ში ლიდერებს შორის დიდი სიმჭიდროვეა. სამ-ოთხ სპორტსმენს თითო-ოროლა ქულა აშორებთ ერთმანეთისგან. შედარებით გაიშალნენ ჩემპიონობის მაძიებლები პრესტიჟულ 500-იანში. აქ მშვენიერი სტარტი აიღო და კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას ამერიკელი კენი რობერტსი. მეოთხე ადგილზე მყოფი მსოფლიოს ჩემპიონი ლორის კაპიროსი 52 ქულით ჩამორჩება, კიდევ ერთ მსოფლიოს ჩემპიონს ვალენტინო როსის ლიდერი 68 ქულით უსწრებს. მიუხედავად ამისა, სპეციალისტების ვარაუდით, შუა სეზონში ვითარება შედარებით დაიძაბება, როცა მდევრები აუცილებლად მიუახლოვდებიან ამერიკელს. ბუნებრივი ვანი ვითარებაა კონსტრუქტორთა პრიზზე. „ჰონდას“ ბოლო წლების ჰეგემონისაგან აღარაფერი დარჩა და საკმაოდ ძნელი სათქმელია ვინ იქნება ფინიშთან პირველი. ისევე „ჰონდა“ თუ მისი კონკურენტები „იამაჰა“ და „სუზუკი“, იქნებ „აპრილიაც“?!

ირაკლი ბერიაშვილი

საერთო ჩათვლა

125: 1. მირკო ჯიანსანტი (იტალია, ჰონდა) — 96ქ; 2. რობერტო ლოკატელი (იტალია, აპრილია) — 92; 3. ემილიო ალზამორა (ესპანეთი, ჰონდა) — 90

250: 1. შინი ნაკანო (იაპონია, იამაჰა) — 128; 2. დაჯირო კატო (იაპონია, ჰონდა) — 120; 3. ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი, იამაჰა) — 120

500: 1. კენი რობერტსი (აშშ, სუზუკი) — 125; 2. კარლოს ჩეკა (ესპანეთი, იამაჰა) — 100; 3. ნორიკ აბე (იაპონია, იამაჰა) — 85

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისპირული ზმანებანი

ᲫᲘᲚᲘᲡ დრო უკვე აღარ არის: 30 საათში ამერიკა გამოჩნდება, ამიტომ „იერეფ უან ნიუ მენ სტარის“ ეულთა ტრანსატლანტიკური რეგატის მონაწილეები უკანასკნელ ძალას იკრებენ ფინალური სპრინტისთვის, ათიოდე დღის წინ ინგლისურ პლიმუტში დაწყებული რბოლის ამერიკულ ნიუპორტამდე ღირსეულად მისაყვანად. სამოციოდე იახტა მიქრის ახალი კონტინენტისკენ. ზოგი მათგანი უკვე იმდენად ჩამორჩენილა, ფინიშამდე მხოლოდ მიღწევასაც წარმატებად ჩაითვლის, ხოლო ზოგიერთის კუდში რბოლის მიზეზი იახტისა და, შესაბამისად აფრათა საერთო ფართის სიმცირეც გახლავთ: რბოლაში არამარტო პირველი კლასის იახტები მონაწილეობენ, თუმცა მოწინააღეებად მრავალ და ერთკორპუსიანებშიც სულ ისინი არიან. ტრამარანებსა და კატამარანებში ბოლო საათებმა ლიდერი ვერ გამოცვალეს, ფრანგი ფრანსის ჟუონი ახლა უფრო დამაჯერებლად ლიდერობს, 43 საზღვაო მილით უსწრებს თვითტომებს, ფრანკ კამასსა და ალენ გოტიეს. გოტიე საკმაოდ დამაჯერებლად მიდიოდა მეორე პოზიციაზე, მაგრამ მერე რატომღაც იახტა მოუდუნდა და დაწევის საშუალება მისცა არა ჟან ლუკ ნოლასს, რომელმაც პირიქით მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა და თანაც ლიდერთან კარგა 500-მილიანი დეფიციტი აქვს, არამედ კამასს, ვინც ადრე ნაკლებად პრეტენზიული ჩანდა. ახლა კამასსაც და გოტიესაც ფინიშს ზუსტად ექვსი ასეული მილი აშორებთ (ოღონდ გოტიე უფრო ჩრდილოეთითაა) და ჟუონის დასაწევად სრული ნებისყოფის მოკრება მართებთ, ისინი კი ამ დროს ნერვებს აჰ ყოლიან და გარკვეული ჰალუცინაციები აწუხებთ. კამასს, მაგალითად, ღამით მოჩვენებია, რომ კოკპიტზე ვიღაც დადიოდა, ხოლო გოტიესგან რადიოთი შემოთვლილი ამბავი ტვინის გათიშვის იშვიათი ნიმუშია: „უძილობისგან ზომბივით ვიყავი — ამბობს გოტიე — მერე ერთი საათი წავუძინე და როცა გამოვიღვიძე, კოკპატზე ასულმა კაპიტნის ბრძანებებს დავუწყე ლოდინი საჭისა და აფრების შესაცვლელად“. კაპიტანი არა, ის...

უეკიპაჟო შკიპერთა მეორე ჯგუფი ცალკორპუსიან იახტებზე ამხედრებულა და ნიუპორტამდე ჯერაც ბევრი უკლია. ბრიტანელი ლედი, ელენ მაკარტური, როგორც იქნა, დაუსხლტა ფრანგის, როლან ჟურდენის კლანჭებს და კარგა 28 მილით დაწინაურდა, ფრანგმავე მიშელ დეჟუაიემ კი მესამეობა დაკარგა და წინ ცალკე ბრიტანელი მაიკ გოლდინგი გაუშვა და ცალკე ერთი ქალბატონი, ფრანგი კატარინა შაბო, ვისი ბოლო მძლავრი გაქანებაც რეგატის ამ ნაწილის მთავარი მოულოდნელობა იყო.

დავით გულუა

კატამარანები და ტრიმარანები. 1. ფრანსის ჟუონი (საფრანგეთი, „ეურე“) — 557 საზღვაო მილი ფინიშამდე; 2. ფრანკ კამასი (საფრანგეთი, „გრუპამა“) — 600; 3. ალენ გოტიე (საფრანგეთი, „ფონსია“) — 600;

ერთკორპუსიანი იახტები. 1. ელენ მაკარტური (დიდი ბრიტანეთი, „ჯინგ+ფიშერი“) — 1333; 2. როლან ჟურდენი (საფრანგეთი, „სილი“) — 1361; 3. მაიკ გოლდინგი (დიდი ბრიტანეთი, „თიიმ გრუპი“) — 1415.



ზღვით დაღლილ ფრანსის ჟუონს ტრიმარანზე „სტუმარი ეწვია“

დალასი — ნიუ ჯერსი 2:4

დალასი — ნი ჯერსი 1:2

0:0 1:1 0:0 0:0 0:1

0:1 ნიდერმაიერი 25'18 (5); 1:1 კინი 26'27 (2); 1:2 არნოტი 88'20 (8)

დალასი: ბელფორი; ჰეჩერი — მატვიჩუკი, ზუბოვი — სიდორი, კოტი — მენსონი; ჰალი — მოდანო — ლეჰტინენი, ტორნტონი — ნუნდაიკი — სიმი, კინი — კარბონო — მოროუ, სლოუნი — მიულერი — მარშალი.

ნიუ ჯერსი: ბრიდო; სტივენსი — რაფალსკი, ნიდერმაიერი — დანეიკო, მალახოვი — უაიტი; სიკორა — არნოტი — ელიაში, პანდოლფო — ჰოლიკი — ლემიე, მოგილნი — გომესი — ბრილინი, ნემჩინოვი — მედენი — მაკეი.

„ამის დავიწყება შეუძლებელია. არ ვიცი, როგორ მოახერხა პატრიკმა, მაგრამ მისგან ისეთი პასი მივიღე, მომენტის გაშვება აღარ შეიძლებოდა“ — „ოქროს“ გოლის ავტორმა ჯეისონ არნოტმა განსაკუთრებით შეაქო თავისი მუდმივი პარტნიორი პატრიკ ელიაში, კაცი, რომელსაც თავადაც არაერთხელ შეეძლო, შეხვედრის გმირი გამხდარიყო. პლეი ოფის ერთ-ერთ აღმოჩენასა და „ეშმაკთა“ ყველაზე კოლორიტულ ფიგურას ფინალის პირველივე მატჩიდან მოყოლებული უამრავი მომენტი ჰქონდა, ლამის ყველა თამაშში შეეძლო ორი-სამი გოლის გატანა, მაგრამ ნახევარფინალის მეშვიდე შეხვედრაში ორი გოლის ავტორი ჩეხი მოჯადოებულივით იყო, სულ ხელცარიელი რჩებოდა. თუმც ზოგჯერ პასი გოლზე არანაკლებ ძვირფასია. სწორედ ამგვარი დიდებული საჩუქარი მიუძღვნა პასების ასმა ელიაშმა არნოტს.

მეორე ოვერტაიმის მე-9 წუთი მიმდინარეობდა. სკოტ სტივენსმა შაიბა მეტოქეთა ზონის კუთხეში ჩააგდო, მის მოსაპოვებლად ელიაში გაემართა. ეს სიტუაცია თითქოს საშიშროებას არ უქმნიდა მასპინძლებს, მით უმეტეს, რომ მცველი სილვენ კოტი გასრიალდა ჩეხთან საბრძოლველად... და უეცრად კართან ზურგით მდგომმა ელიაშმა ისეთი პასი გააკეთა, რომ მოულოდნელობითა და სიზუსტით გაოგნებული დალასელები გაშეშდნენ. სამაგიეროდ, არნოტი არ დაიბნა და ერთი შეხებით გაგზავნა შაიბა ედ ბელფორის კარში. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა.

ასე დასრულდა ფინალი, რომელმაც თავისი დაძაბულობითა და შინაარსით გულშემატკივართა დიდი მოწონება დაიმსახურა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1994 წლის რეინჯერსი — ვანკუვერის ფინალის შემდეგ იგი ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა.

PLAY OFF

ფინალი

პასი, პასი, თასი

დალასმა, მიუხედავად იმისა, რომ მის მობერებულ ლიდერებს დაღლა გაცილებით მეტად დაეტყოთ, საოცარი გამძლეობა გამოიჩინა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ნიუ ჯერსისთვის მაქსიმალურად გაერთულებინა საქმე.

... და მაინც, ბოლო ორ, ლამის ტყუპებივით მსგავს თამაშში დალასს რომ მოეპოვებინა გამარჯვება, დიდი უსამართლობა იქნებოდა. არც ხუთშაბათს და არც შაბათს ნიუ ჯერსი არაფრით ჩამოუვარდებოდა მეტოქეს და საგოლე მომენტებიც კვლავ მეტი ჰქონდა.

მატჩი

შეხვედრის წინ ყველას ერთი რამ აინტერესებდა — უმძიმესი, სამოვერტაიმიანი ჭიდილის შემდეგ რომელი გუნდი უკეთ შეძლებდა ძალების აღდგენას. სპეციალისტები ნიუ ჯერსის ანიჭებდნენ უპირატესობას, თუმც დალასი მოგების შემდეგ ფსიქოლოგიურად ძალიან გაიმართა წელში. საბოლოოდ თამაში თანაბარი გამოდგა. პირველი პერიოდი, რომელშიც ტერიტორიულ უპირატესობას დალასი ფლობდა, მაგრამ ნიუჯერსელთა შეტევები უფრო სახიფათო იყო, უმეტესწილად ორი მოთამაშის ბრძოლიდან გათიშვით დაამახსოვრებდა მაყურებელს. ჯერ იყო და სკოტ გომესთან ორთაბრძოლისას მცველი დერილ სიდორი დაეცა ყინულზე და დაშავდა. ამის შემდეგ დალასის დაცვა ხუთი კაცის ამარა დარჩა. მერე, მე-12 წუთზე, დალასელმა დერიან ჰეჩერმა იუხეშა და პეტერ სიკორა ნოკდაუნში აღმოჩნდა. „ეშმაკთა“ ფორვარდი რამდენიმე წუთის განმავლობაში იწვა ყინულზე უმოძრაოდ, მერე საკაცით გაიყვანეს და უმალვე საავადმყოფოში მოათავსეს.

ნიუ ჯერსიმ მეორე პერიოდი ჩინებულად დაიწყო, ტემპს უმატა და მეტოქეს თავგზა აუბნია. „ეშმაკთა“ სწრაფი ფორვარდების შეკავება სულ უფრო და უფრო გაძნელდა. ყველაზე მწვავედ არნოტი უტევდა, შემდეგ სერგეი ნემჩინოვს ჰქონდა ორჯერ შანსი. ამიტომაც ბრაიან რაფალსკის უსაფუძვლო დაჯარიმების შემდეგ დალასს თითქოს სული უნდა მოეთქვა, მაგრამ უმცირესობაშიც ნიუ ჯერსიმ შეუტია. დალასელი მცველების შეუთანხმებლობას შემდეგ ერთბაშად სამი „ეშმაკი“ ერთი მცველის წინაშე აღმოჩნდა და იერიშში ჩართულმა სკოტ ნიდერმაიერმა ანგარიში გახსნა. ტეხასელებმა სულ მალე ჩინებული საგოლე კომბინაცია გაითამაშეს. კვლავ ივაჭაცა მაიკ მოდანომ — შაიბა საკუთარი ზონიდან წამოიღო, მერე სკოტ ტორნტონის გადააწოდა, მანაც მაიკ კინი მოძებნა და გამოცდილმა საპლეიოფო მებრძოლმა უძლიერესი დარტყმით შაიბა ცხრიანში გაგზავნა. უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა მატჩის მესამე პერიოდიც და დამატებითი დროც. ბოლოს რაც მოხდა, უკვე იცით.

ამრიგად, დასავლეთ კონფერენციის ოთხწლიანი ბატონობის შემდეგ ნჰლ-ის მზე კვლავ აღმოსავლეთით ამოვიდა და სამართლიანადაც.

სამველ ღარიბიანი



REUTERS დალასიდან

ჯეისონ არნოტის ტრიუმფალური გოლი

ბოლო 10 წლის ფინალები

2000	ნიუ ჯერსი — დალასი	4:2 (7:3 1:2 2:1 3:1 1:2 2:1)
1999	დალასი — ბუფალო	4:2 (2:3 4:2 2:1 1:2 2:0 2:1)
1998	დეტროიტი — ვაშინგტონი	4:0 (2:1 5:4 2:1 4:1)
1997	დეტროიტი — ფილადელფია	4:0 (4:2 4:2 6:1 2:1)
1996	კოლორადო — ფლორიდა	4:0 (3:1 8:1 3:2 1:0)
1995	ნიუ ჯერსი — დეტროიტი	4:0 (2:1 4:2 5:2 5:2)
1994	რეინჯერსი — ვანკუვერი	4:3 (2:3 3:1 5:1 4:2 3:6 1:4 3:2)
1993	მონრეალი — ლოს ანჯელესი	4:1 (1:4 3:2 4:3 3:2 4:1)
1992	პიტსბურგი — ჩიკაგო	4:0 (5:4 3:1 1:0 6:5)
1991	პიტსბურგი — მინესოტა	4:2 (4:5 4:1 1:3 5:3 6:4 8:0)

ბოლო 10 უძვირფასესი

2000	სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერსი)
1999	ჯო ნუინდაიკი (დალასი)
1998	სტივ აიზერმანი (დეტროიტი)
1997	მაიკ ვერნონი (დეტროიტი)
1996	ჯო საკიკი (კოლორადო)
1995	კლოდ ლემიე (ნიუ ჯერსი)
1994	ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი)
1993	პატრიკ რუა (მონრეალი)
1992	მარიო ლემიე (პიტსბურგი)
1991	მარიო ლემიე (პიტსბურგი)

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ: ჰალი 24 (11+13); მოდანო (ორივე დალასი) 23 (10+13); ელიაში 20 (7+13); არნოტი (ორივე ნიუ ჯერსი) 19 (8+11); რეკი (ფილადელფია) 18 (6+12); სიკორა (ნიუ ჯერსი) 17 (9+8); იაგრი (პიტსბურგი) 16 (8+8); ფორსბერგი 15 (7+8); დედმარში 15 (4+11); დრური (სამიე კოლორადო) 14 (4+10)

+1 — (ნაყოფიერების კოეფიციენტი): ელიაში, სტივენსი, უაიტი (სამივე ნიუ ჯერსი), ფორსბერგი და ჰრდინა (პიტსბურგი) +9

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲝᲚᲔᲑᲘ: იაგრი, ფორსბერგი და ჰალი 4

ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲔᲑᲘ (დარტყმების მოგერიება): ტაგნატი (პიტსბურგი) 94,5%, ჯოზეფი (ტორონტო) 93,2%; ბელფორი (დალასი) 93,1%, რუა (კოლორადო) 92,8%, ბროდო (ნიუ ჯერსი) 92,7%

თასის საუკეთესო ექვსეული:

ედ ბელფორი (დალასი); სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერსი) — რეი ბურკი (კოლორადო); პატრიკ ელიაში (ნიუ ჯერსი) — ჯეისონ არნოტი (ნიუ ჯერსი) — ბრეტ ჰალი (დალასი).

გამკაცრებულმა აღმასკომმა ირაკლი ჯაფარიძე ნაკრებიდან მოკვეთა

რისხვას ვერც დარბაზები გადაურჩა



ირაკლი ჯაფარიძე

ფოტო ალექსანდრე ბერიძისა

5 ივნისს, სტუ — „აზოტის“ პლეი ოფის ნახევარფინალის მეოთხე მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი მოგვიანებით კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის მსჯელობის საგანი გახდა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ სანქციები მკაცრი იქნებოდა, თუმც აღმასკომის საბოლოო ვერდიქტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ამაზე ცოტა ქვემოთ, ახლა კი კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იმ დღეს მოედანზე განვითარებული მოვლენები.

შეხვედრის უკანასკნელი წუთი მიმდინარეობდა. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში მსაჯების გადაწყვეტილებამ მოედნის შორიახლოს მწკრივად მსხდომი სტუ-ს ქომაგები აღაშფოთა. მათ არც აციეს, არც აცხელეს და ანგარიშსწორების მიზნით პირდაპირ მოედანზე მეჭრნენ არბიტრებს, ერთ-ერთი მათგანი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მურმან ქურიძე მოიხელთეს და მამისტოლ კაცს სასტიკად გაუსწორდნენ.

მატჩის შემდეგ ქურიძე ამბობს: „არაფერ შუაში ვიყავი, ვერ ვხედავი, რამ გამოიწვია მომხვდურთა ამგვარი აგრესია, ვფიქრობ, გაუგებრობის მსხვერპლი გავხდი“.

მსაჯმა ისიც თქვა, თავდამსხმელთაგან ვერავინ ამოვიცანი, უცნობები იყვნენო.

მოგვიანებით ფედერაციის სადისციპლინო კომისია შეიკრიბა, მომხდარი ფაქტი გააანალიზა და შესაბამისი ზომებიც მიიღო. შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, თავისი გადაწყვეტილების შესახებ აღმასკომს ამცნო, რომელსაც საბოლოო სიტყვა უნდა ეთქვა.

და გადაწყდა: „შევარდენის“ კალათბურთელებს, შალვა გაგნიძესა და აკაკი მოისწრაფიშვილს, ასევე დინამოელ ირაკლი მეგრელიშვილი, სამუდამო დისკვალიფიკაცია მიეცათ. აღმასკომის სხდომაზე მყოფთაგან თითქმის ყველამ აღიარა, რომ მურმან ქურიძეს სწორედ მათ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. შედეგად ეს ბიჭები საერთოდ ჩამოაშორეს კალათბურთს.

აღმასკომმა ძალიან მკაცრად დასაჯა ყოფილი აზოტელი, ბოლო სეზონში პორტუგალიურ „ჟინაზიოში“ მოთამაშე ირაკლი ჯაფარიძეც. იგი მოედანზე საერთოდ არ ყოფილა, თუმც მშობლიური გუნდის ზღვარგადასული ქომაგობა ძალიან ძვირად დაუჯდა. ფედერაციის აღმასკომმა ჯაფარიძე ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთა და ერთი წლით აუკრძალა საქართველოს ჩემპიონატში თამაში, აქაოდა, შეხვედრის მსვლელობისას ცუდად იქცეოდა და მსაჯებიც და სამდივნოც ლანძღვა-გინებით აიკლოო. საქართველოს ნაკრების აწ უკვე ყოფილ წევრს, ირაკლი ჯაფარიძეს მხოლოდ ეს არ აკმარეს და დაემუქრნენ, რომ არც უცხოურ კლუბში წარსადგენ რეკომენდაციას მისცემენ.

უსაქციელობის გამო გააფრთხილეს, ამჯერად უკანასკნელად, „აზოტის“ ცენტრი მიხეილ ბერუაშვილი. საკმარისია, კიდევ რაიმე დაშავო, კალათბურთს სამუდამოდ დაემშვიდობებიო, — უთხრეს. მსაჯებთან მუდმივი კამათისთვის სასტიკად გააფრთხილეს სტუელებიც, გოდერძი კორძაძე და ამროსი ორმოცაძე.

აღმასკომის სხდომამ „აზოტის“ მწვრთნელ ოთარ ხმელიძეს და სტუ-ს თავკაცებს, ნუგზარ ჭეიშვილსა და ვაჟა ჭკუასელსაც მოუწოდა წესრიგისკენ. მათ პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცათ და თუ მსგავსი შემთხვევა განმეორდა, უმკაცრესად დაისჯებიან.

განსაზღვრელი ვადით დისკვალიფიცირებულია ორივე კლუბის საკალათბურთო დარბაზიც. სანამ რეკონსტრუქციები არ ჩატარდება და უსაფრთხოებაც გარანტირებული არ იქნება, არც რუსთავში და არც სტუ-ს დარბაზში ეროვნული ჩემპიონატის მატჩები აღარ გაიმართება.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, დუდუ დადიანის თქმით, ყველა დამსახურებულად დაისაჯა — მსგავსი სიმკაცრე ადრე რომ გამოგვეჩინა, ახლა ასეთ სავალალო სიტუაციაში არ აღმოვჩნდებოდითო.

კახა ფუბლაძე

შოთა უძილაური (მარცხნივ) და სტუ-ელი ლაშა ლოსაბერიძე

ფოტო ალექსანდრე ბერიძისა

ნუთწუთიანი ინტრიგა

საქართველოს 9 ჩემპიონატი

მესამე მატჩი ადგილისთვის

სტუ — სდასუ 1:0
სამ მოგებამდე

13 ივნისი. სპორტის სასახლე

სტუ 91:89 სდასუ

I ტაიმი 44:37

სტუ: თორთლაძე (18), ტულუში (26), ლოსაბერიძე (10), ორმოცაძე (7), კორძაძე (9); დ. მოისწრაფაშვილი (3), ოთიურიძე (10), მინაშვილი (8)

სდასუ: ხოშტარია (28), გ. ჩხეიძე (2), უძილაური (35), სუხიშვილი (8), მაჭარაძე (5); ნ. ნოზაძე, არჩვაძე (2), ლ. აბულაძე (9)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

როლანდ ლაბუჩიძე

ნახევარფინალურ შეხვედრებში ხელმოცარული გუნდების მესამე ადგილისთვის დავა, თუ არ ჩავთვლით მეორე ტაიმის ბოლო ხუთ წუთს, მეტად უინტერესო იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ გუნდები მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით იყვნენ გასულნი მოედანზე. ერთადერთი კალათბურთელი, ვინც თავს არ ზოგავდა, სტუ-ს უკანახაზელი კოტე ტულუში გახლდათ. მეოთხე წუთის ბოლოს სტუ 10:2 უგებდა მეტოქეს და აქედან 8 ქულა ტულუშის ანგარიშზე მოდიოდა. დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ სტუ-ს უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა — 25:12. ტაიმის დამთავრებამდე კი შოთა მაჭარაძეს უმტყუნა ნერვებმა და უხეში თამაშისთვის მიღებულ ჯარიმასთან ერთად უცენზურო სიტყვებისთვის ტექნიკურსაც გამოჰკრა ხელი, ჯამში ხუთი ჯარიმა დაუგროვდა და ვადაზე ადრე დატოვა მოედანი. ცენტრის გარეშე დარჩენილი სდასუ მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც რეალური საფრთხე იგრძნო. განსაკუთრებით იყო ჩაღა გუნდის კაპიტანმა ირაკლი ხოშტარიამ, მას უძილაურიც წამოეხმარა, ჩხეიძემ ჩვეული სიფხიზლით იწყო თამაში დაცვაში და სდასუ-ს ხუთი ქულაღა აშორებდა მეტოქისგან. იქნებ გათანაბრებინა კიდეც სდასუ-ს, მაგრამ დავით თორთლაძის მიერ შესრულებული სამქულიანები ზუსტად ეშვებოდა კალათში.

შეხვედრის მეორე ნახევარში თავი გამოიჩინა სდასუ-ს მსროლელმა შოთა უძილაურმა. მარტო მეორე ტაიმში მან შვიდი სამქულიანი ჩააგდო და 27 ქულა გააკეთა, მთლიანობაში კი 35-ს მოუყარა თავი და ყველაზე შედეგიანი იყო მოედანზე.

სწორედ უძილაურის ზუსტად შესრულებული სამქულიანი შემდეგ სდასუ-მ ანგარიშის გათანაბრება — 36:36. მერე უმალვე კვლავ უძილაურმა იყო ჩაღა და ამჯერად წინ გაიყვანა თანგუნდელები — 59:58.

თამაში განსაკუთრებით დაიძაბა მეთხუთმეტე წუთის შემდეგ, როდესაც ექვსი ქულით დაწინაურებულ სტუ-ს ხოშტარიისა და უძილაურის ძალისხმევით სდასუ კიდევ ერთხელ წამოწია — 85:85. სტუ ჯერ მინაშვილმა დააწინაურა ორი საჯარიმოთი, შემდეგ კი ლოსაბერიძემ ითამაშა შედეგიანად თავდასხმაში.

მიმდინარეობდა ბოლო წუთი და სტუ-მ დროის გაყვანის მიზნით ბურთის ტარება დაიწყო. ბურთის ფლობისათვის განკუთვნილი დროის დამთავრებამდე ოთხი წამიღა რჩებოდა, როდესაც თორთლაძემ წესი დაარღვია და სდასუ-მ მოიპოვა შეტევის წამოწყების უფლება. დამთავრებამდე 23 წამი რჩებოდა, იმისთვის, ირაკლი ხოშტარიას მიეცა საჯარიმოებით ანგარიშის შემცირების საშუალება, მაგრამ სდასუ-ს კაპიტანმა ორი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთის გამოყენება შეძლო — 89:86 წინ იყო სტუ, რომელსაც კიდევ უფრო დაწინაურების კარგი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ სდასუ-ს ფართან ეულად მიტოვებულმა ლოსაბერიძემ და ტულუშმა ერთმანეთს შეუშალეს ხელი და მეტოქემ შეინარჩუნა ანგარიშის გათანაბრების შანსი. სამქულიანს კარგად ესვრის ირაკლი ხოშტარია — 89:89. საპასუხო შეტევისას ისევ ლოსაბერიძე აღმოჩნდა კარგ პოზიციაში. ხოშტარიამ მაგ ბურთის სროლის საშუალება არ მისცა, აკრძალული ილეთით შეაჩერა ორი საჯარიმოს სროლის უფლება მოიპოვა ლაშა ლოსაბერიძემ, როცა თამაშის დამთავრებამდე ზუსტად ორი წამი იყო დარჩენილი. სტუ-ს ფორვარდმა უშეცდომოდ შეასრულა საჯარიმო სროლები — 91:89. სდასუ-ს ახლა სასწაული თუ იხსნიდა. გიორგი ჩხეიძემ ბურთი კი ისროლა საკუთარ ნახევრიდან მეტოქის ფარისკენ, მაგრამ სასწაული არ მოხდა. ამრიგად ორი წამის წინ დაფიქსირებული ანგარიში უცვლელი დარჩა და სტუ ბრონზეაოს მედლებისათვის ბრძოლაში დაწინაურდა — 1:0.

სტუ სრული შემადგენლობით თამაშობდა, ხოლო სდასუ-მ მოედნიდან ნაადრევად გასულ მაჭარაძესთან ერთად დისკვალიფიცირებული გიგი ნაცვლიშვილი მოისაკლისა. მეორე შეხვედრაში იგი გუნდს შეუერთდება. სრულ შემადგენლობით მოასპარეზე სტუ — სდასუ-ს მომდევნო შეხვედრა უფრო საინტერესო უნდა იყოს. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

სტუ-ელი ვახტანგ მინაშვილი (№12) შოთა მაჭარაძეს უფარებს

ევროპული ამბები

თურქეთი

თოფაში დაიშალა

თურქულ კალათბურთში მეხი გავარდა: ქვეყნის ბოლო ორი წლის ჩემპიონი და თასის მფლობელი ბურსას „თოფაში“ დაიშალა. მიზეზი ფულია, უფრო ზუსტად — უფულობა, კიდევ უფრო ზუსტად — თურქეთის მთავრობის ახალი ეკონომიკური პოლიტიკა.

თურქეთში დიდი ინფლაციაა. მსხვილ კომპანიებს ბანკებიდან სესხები გამოაქვთ და ლირის დევალვაციის წყალობით ამ საქმეში დიდ ფულს იებენ. ერთი სიტყვით, დაახლოებით იგივე ხდება, რაც საქართველოში კუპონის არსებობის დროს ხდებოდა, ოღონდ, ცხადია, უფრო დიდი მასშტაბით.

„თოფაში“ ამავე სახელწოდების საავტომობილო კონცერნის გუნდია. ბანკიდან გამოტანილი სესხებით ეს კონცერნიც ითბობდა ხელს და გუნდის შენახვა ამ გზით უფრო იოლი საქმე იყო, ვიდრე ავტომობილების წარმოებით ნაშოვნი ფულით. თურქეთის მთავრობა ინფლაციას შეებრძოლა, ბანკებიდან სესხების გამოტანის პირობები მნიშვნელოვნად გაამკაცრა და დიდ კონცერნ-კომპანიებს ფულის საკეთებელი გზა მოუჭრა.

„თოფაშმაც“ თქვა, კალათბურთისთვის ფული აღარ გვრჩებაო და გუნდი დაშლილად გამოაცხადა. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა, თურქეთის ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ ეფე აიდანმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ვწუხვართ, მაგრამ პროფესიული კლუბი აღარ გვეყოლება. „თოფაში“ იარსებებს, ოღონდ სამოყვარულო სტატუსით და მუშაობას ბავშვებთან და მოზარდებთან გავაგრძელებთ. „თოფაშის“ მოთამაშეები თავისუფალი აგენტები არიან. მათ ყოველგვარი საზღაურის გარეშე ნებისმიერ გუნდში შეუძლიათ წასვლა“.

„თოფაშის“ აწ უკვე ყოფილ მოთამაშეთა ხელში ჩასაგდებად დიდი ამბავი ატყდება. ჯერ მარტო დევიდ რივერსი, რაშარდ გრიფიტი, სლავენ რიმაცი და მურათ ქონუქი რად ღირან...

ეს მესამეჯერ ვნახეთ: აზოტი მოგებით იწყებს

აზოტელი ლევან წიკლაური (ბურთით) და ანტონ არხიპოვი

ბასკოელი ლევან ქარაბაკი მეტოქის ფარს უტევს

ფოტოები ზურაბ დოლიძისაგან

საქართველოს ფინალი 8 ჩემპიონატი

მატჩი

ბასკო — აზოტი 0:1

სამ მოგებამდე

13 ივნისი. სპორტის სასახლე

ბასკო 63:73 აზოტი

I ტაიმი 36:36

ბასკო: მაისურაძე (8), დავითულიანი (7), ბეჟანიშვილი (4), ქარაბაკი (12), ვ. კილაძე (10); ბელიაევი (3), კვაჭაძე (2), არხიპოვი (11)

აზოტი: ა. ჟღენტი (16), გაბისონია (12), გოგობერიშვილი (27), ბაბიაშვილი (10), მ. ბერუაშვილი (4); გოგოლაძე, ლ. ჩაჩუა (2), წიკლაური (2), ჯიმშელეიშვილი

მსაჯები: მურმან ქურიძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

გიორგი ბიკაშვილი

გულშემატკივარი, რომელიც შობლიურ „აზოტს“ საქმაგოდ ჩამოყვა დედაქალაქში, მატჩის შემდეგ ალიან გახარებულიც იყო და სასიამოვნოდ გაოცებულიც. რა აღარ უნდა ამ ხალხს, რა აღარ გადაუტანია, მაგრამ თავისიანთა ასეთი თავდადებული თამაშის მომსწრე იშვიათად ყოფილა.

ფინალური მატჩი იყო და რომელიმე გუნდს ვითომ რატომ უნდა დაეხია ხელი, რატომ უნდა დაეზოგა ძალა, მაგრამ რუსთაველთა სიმამაცემ გუშინ „ბასკოს“ თამაშიც დაჩრდილა და მისი მთავარი მწვრთნელი, ზურაბ ტომარაძეც დიდ საგონებელში ჩაგდო.

ალბა რომ თქვას, მთლად თავშესაქცევრადაც არ უნდა ჰქონდეს ტომარაძეს საქმე, კარგი გუნდი ჰყავს, ასე თუ ისე ტაქტიკაც გამართული აქვს და კარგად გვახსოვს, უარესი მდგომარეობიდანაც დაულწევია თავი. თუმცა შარშანდელ „ვითასგან“ „ბასკოს“ ერთი რამ განასხვავებს და ნუ მიეჩქმალავთ. ჟინი, შემართება აკლდა გუშინ ტომარაძის ახლანდელ სამწყსოს, სხვანაირად ამას მუღამი ჰქვია.

არა, მხოლოდ ეს არ გახლავთ მიზეზი იმისა, რომ „აზოტი“ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა სანუკვარ ოქროს. ადვილი შესაძლებელი იყო, „ბასკოს“ მოგო და ამას არც არავინ დაამძლიდა. ოთარ ძმელიძის „აზოტი“ უბრალოდ, ერთიორად შეკრული და ორგანიზებული გახლდათ, რის ფონზეც ცხადად გამოჩნდა, რომ რაც არ უნდა ძლიერი და თანაბარძალოვანი კალათბურთელებით იყოს დაკომპლექტებული „ბასკო“, მაინც ნორჩია და ჯერაც ჩამოყალიბების პროცესშია.

ზედ ფინალური სერიის წინ დაშავებული გამთამაშებლის, მამუკა აბრამიძის არყოფნა დიდად დაეტყო ზღვისპირულ გუნდს. რაღაცით „ბასკო“ უთავო მხედარს მოგაგონებდათ, ოღონდ, წარმოიდგინეთ, ცხენსაც რომ არ ჰქონოდა თავი. ბათუმელებს აშკარად აკლდათ წინამძღოლი, რომელიც შეტევებს წარმართავდა, აბრამიძის ღირსეული შემცვლელი კი მთელი შეხვედრის განმავლობაში ვერ მოიძია ზურაბ ტომარაძემ.

არავისთვის იყო უცხო, რომ „ბასკოს“ დამრიგებელი საგანგებო ყურადღებას რუსთაველთა ლიდერის, რამაზ გოგობერიშვილის გაუვნებლებას დაუთმობდა. ასეც მოხდა, გოგობერიშვილს დაცვითი თამაშით გამორჩეული, ტრავმამოშუშებული ალეკო დავითულიანი აედევნა, თუმც შეხვედრის პირველივე წუთზე, ბასკოელ ვალერი კილაძის საჯარიმოებს შორის რამაზმა სამიანი ჩაგდო და „აზოტი“ დააწინაურა.

ამის შემდეგ ხუთ წუთზე მეტ ხანს „ბასკომ“ ხელუხლებლად შეინახა საკუთარი კალათი, ორივე ფარზეც გაბატონდა და ძირითადად ლევან ქარაბაკის აქტიურობის შედეგად შვიდი ქულით მოიტოვა მეტოქე — 10:3. ამ დროისათვის „აზოტის“ უკანახაზელ ზაზა გაბისონიას უკვე ოთხი პერსონალური დაგროვებოდა, რომელთაგანაც ერთი, ტექნიკური შენიშვნა მსაჯ ბერეკაშვილთან კამათისთვის მიიღო. ვიცე-ჩემპიონის დაბნეულობით „ბასკომ“ კარგად ისარგებლა და იმავე ქარაბაკმა ზუსტი საჯარიმოთი მალე სხვაობა ათქულიანი გახადა — 15:5.

აზოტელთაგან პირველი არჩილ ჟღენტი გამოერკვა, საჭირო დროს ჩაგდებული სამიანით თანაგუნდელებს რწმენა დაუბრუნა და მისი ძალისხმევით სამწუთიანი მონაკვეთი „აზოტმა“ 11:1 მოიგო. მატჩშიც პირველად დაფიქსირდა თანაბარი ანგარიში — 16:16.

შეგირდების უფერული თამაშის შემხედვარე ტომარაძემ შეცვლებს მოუხშირა. ამასთან ერთად შესამჩნევად გახშირდა მსაჯთა სასტვენიც (სამართლიანადაც), რამაც არცთუ მაღალ ტემპში მიმდინარე მატჩი კიდევ უფრო დუნე გახადა. გახშირდა ჯარიმები, რითაც „ბასკომ“ მეტად იხეირა და ერთხანს ხუთი ქულით მოსწყდა მეტოქეს, თუმც შემდგომ ზღვისპირულ გუნდს კვლავაც გოგობერიშვილის აგრესია დაატყდა თავს, რომელმაც მეორედ დააწინაურა მატჩში „აზოტი“ — 26:25. მიხეილ ბერუაშვილის ნაცვლად მოედანზე შესული ლევან წიკლაური ნელ-ნელა თამაშის ეშხშიც შევიდა. მან თავისი ხელი დაატყო გუნდს. „აზოტმა“ ფარქვეშაც გამოისწორა მდგომარეობა და ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ახლა უკვე „ბასკო“ ჩამორჩა ხუთი ქულით მოწინააღმდეგეს. აქვე გოგობერიშვილს კიდევ შეეძლო სხვაობის გაზრდა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ნასროლი გაუცუდდა და იქით ჩასაგდები ორი ქულა „აზოტმა“ აქეთ მიიღო. ტაიმის მიწურულს ზურაბ ტომარაძემ შერეული ზონური დაცვაც მოსინჯა და ისე გამოვიდა, გუნდები შესვენებაზე მშვიდობით დაშორდნენ ერთმანეთს.

მეორე ნახევარი ლაღად დაიწყეს მეტოქეებმა. გუნდებმა თითქოს ხელი აიღეს დაცვაზე და ერთმანეთის კალათზე დაიგეშნენ, თუმც შესამჩნევი გახდა, რომ მათ ტაქტიკურ სქემებს აქციეს ზურგი და თამაში შინაარსობრივადაც დაკნინდა.

ისე გაილია მეორე ტაიმის თერთმეტი წუთი, ვერც ერომა შეძლო სოლიდურად დაწინაურება. სულ ქულა ქულაში მიდიოდა თამაში, მერე კი „ბასკომ“ ერთიორად მოუჭირა დაცვით მარწუხებს და რუსთაველთათვისაც ძალიან გაძნელდა ბათუმელთა კალათის დალაშქვრა. „აზოტის“ სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ გამთამაშებელ არჩილ ჟღენტს ოთხი ჯარიმა დაუგროვდა და ხმელიძემ იგი სათადარიგოებში გაიხმო.

აქ, ალბათ, მატჩის გადამწყვეტი მომენტიც დადგა, ფრთაშესხმული იყო „ბასკო“ და სამქულიანის ხაზიდან კარგა მოშორებით მდგომ აზოტელ ზაზა გაბისონიას რომ არ ჩაეგდო, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. გაბისონიას სასწაულებრივი სამქულიანი შოკისმომგვრელი აღმოჩნდა „ბასკოსთვის“, გუნდი საგრძნობლად აირია და დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გოგობერიშვილმა სამი ქულით დაწინაურა თავისიანები — 64:61.

ზღვისპირელებმა კარგა ხანს ამზადეს საპასუხო შეტევა, ბეჟანიშვილის არაზუსტი ნასროლის შემდეგ ბურთი კვლავაც „ბასკომ“ მოიხელთა და მორიგი იერიშის განვითარებას შეუდგა, მაგრამ ბაბიაშვილმა მეტად საჭირო ბურთი აიღო დაცვაში, გოგობერიშვილის სწრაფი გარღვევა და — 66:61.

ლევან ქარაბაკმა საჯარიმოებით მალევე სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა. მოედანზე დაბრუნებულმა ჟღენტმა ხანგრძლივად ათამაშა ბურთი და ამით „აზოტისთვის“ უძვირფასესი წამები მოიგო. სირენამდე 36 წამით ადრე კი იმავე ჟღენტმა ყველა კითხვას პასუხი გასცა — მისი ზუსტი სამქულიანი რუსთაველთა გამარჯვებას მოასწავებდა.

მატჩის შემდეგ

ოთარ ხმელიძე, „აზოტის“ მთავარი მწვრთნელი:

— ბატონო ოთარ, როდის დარწმუნდით, რომ გამარჯვება „აზოტს“ დარჩებოდა?

— მხოლოდ შეხვედრის დამთავრებისას. მართალია, ჟღენტმა მეტად საჭირო სამქულიანი ჩააგდო და ექვსი ქულით — 69:63 დავწინაურდით, მაგრამ მშვიდად ყოფნის უფლება ნამდვილად არ გვქონდა. თამაშისათვის დარჩენილი 36 წამი სავსებით საკმარისი იყო, რათა „ბასკოს“ მატჩი გადაერჩინა.

— ცოტა იღბალმაც ხომ არ განაპირობა თქვენი გუნდის წარმატება?

— ბოლო წუთებში რამდენჯერმე მართლაც გაგვიმართლა, მაგრამ ბიჭებმაც კარგად ითამაშეს და „აზოტის“ გამარჯვებას მარტო იღბალს ნუ მივაწერთ.

— მაშინ რით ახსნით თქვენი გუნდის ძირითადად მდევრის როლში ყოფნას?

— წავაგეთ ფარი, რადგან მეტოქეს აშკარად ჩამოვრჩებით სიმაღლეში. სამაგიეროდ, უპირატესობა გვაქვს უკანა ხაზში და ამის ხარჯზე მოვიპოვეთ წარმატება.

— შარშანდელივით ამჯერადაც შეკრებაზე ხომ არ იმყოფებით?

— წლეულს ვერ შევძელით შეკრების მოწყობა და მხოლოდ ერთჯერადი ვარჯიშებით შემოვიფარგლეთ.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ „ბასკო“ პირველად არის ფინალში, ხოლო „აზოტი“ ზედიზედ მესამედ ეცდება ოქროს მედლების მოპოვებას, ვიცე-ჩემპიონისა და დებიუტანტის შანსებს როგორ შეაფასებდით?

— მართალია, „ბასკო“ ახალშექმნილი გუნდია, მაგრამ გამოცდილი კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული და სკამიც საკმაოდ გრძელი აქვს. ჩვენი პრობლემა მოკლე სკამია, ხოლო დადებითი მხარე — ერთად თამაშის მეტი გამოცდილება. პირველი ადგილის მოპოვების შანსი ორივე გუნდს თანაბარი აქვს.

ზურაბ ტომარაძე, „ბასკოს“ მთავარი მწვრთნელი:

— ბატონო ზურაბ, „ვითასა“ მწვრთნელობის დროსაც ფინალში პირველ შეხვედრას ყოველთვის აგებდით, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ მთავრდებოდა.

— ხელი არასოდეს ჩამიქნევია და ახლაც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მთავარია, თამაში კარგად გავაანალიზოთ და ლოგიკური დასკვნებიც გავაკეთოთ. ფინალურ სერიაში პირველი შეხვედრების წაგებაზე კი ვერაფერს გეტყვით. ყოველთვის მოგებისთვის ვიბრძოდით, მაგრამ გამარჯვება უფრო ხშირად მეტოქეს რჩებოდა.

— რამდენად სერიოზულია აბრამიძის ტრავმა?

— საგანგაშო არაფერია, თუმც ფინალში მაინც ვერ დაგვეხმარება.

— სხვა კალათბურთელები თავს როგორ გრძნობენ?

— ნახევარფინალებში ტრავმა მიიღეს არხიპოვმა და დავითულიანმა. არხიპოვი ამჯერად კარგადაა, ხოლო დავითულიანის თამაში მხოლოდ მატჩის წინ გადაწყდა.

— დარჩენილ შეხვედრებში გამთამაშებლის ფუნქციებს ძირითადად მაისურაძე შეასრულებს?

— სამწუხაროდ, არც მაისურაძეა გამოკვეთილი გამთამაშებელი.

— მარტო აბრამიძის იმედად ყოფნას, აგეყვანათ სხვა გამთამაშებელიც. „ბასკოსთვის“ ეს პრობლემა არ უნდა ყოფილიყო...

— პრობლემა ის არის, რომ ვინც ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, უკვე დაკავებული იყო კონტრაქტით თავის გუნდთან.

— მომავალი შეხვედრისათვის სათამაშო ტაქტიკაში ცვლილებების შეტანას ხომ არ აპირებთ?

— რა თქმა უნდა. წაგებული მატჩის შემდეგ სათამაშო ტაქტიკაში ცვლილებები აუცილებლად იქნება.

სექსუალური და მიზანსწრაფული

REUTERS ეინდჰოვენიდან

ეინდჰოვენში პორტუგალიელი გულშემატკივრების მიერ გადმოფენილი ლოზუნგი ქართულად ასე ჟღერს — სექსუალური ფეხბურთი. რამდენად ორგანულად და ორგაზმულად ითამაშეს ამათმა ჯილებმა და რამდენად დააკმაყოფილეს თავიანთ მხარდამჭერთა მოთხოვნები, თითოეულის გადასაწყვეტია, მაგრამ ერთში ალბათ ყველა დამეთანხმება — სექსუალურ ფეხბურთს აი, ეს სექსუალური პორტუგალიელი მანდილოსანი სჯობს.

ვიქტორია და მარცხი

აჰა, ერთხელაც გამოიჭირეს ფოტორეპორტიორებმა ყველა დროისა და ქვეყნის ფეხბურთის ქომაგთა ნომერი პირველი მტერი, სპორტულ ჟურნალისტთა საყვარელი საქილიკო ობიექტი (უფრო სწორედ, სუბიექტი) ვიქტორია ადამსი. „სპაის გელი“ ტრიბუნებზე უბრალო ჯინსის ქურთუკით, შავი სათვალითა და ქუდით გამოცხადდა, იქნებ ღმერთი გაუწყრეთ და ვერავინ მიცნოსო, მაგრამ რად გინდა — ინგლისის ნაკრების მარცხს ახლა უეჭველად მის ბექჭს დააბრალებენ.



REUTERS ეინდჰოვენიდან



ეუსებიო ნაკვალევზ...

ვიდრე „სარბიელის“ მესვეტ... ლისაბონში ლეგენდარულ... პორტუგალიელ... ფეხბურთელის, ეუსებიო... ნაკვალევს დაეძებდა, ... უკანასკნელი თურ... ჰოლანდიაში გახლდ... ერთვნული ნაკრებ... საქომაგოდ. ამ ორიოდ დღ... წინ ეუსებიომ არნ... იუნისეფის გამოფენ... გახსნისთვისაც მოიცალა... მსურველები თა... ავტოგრაფებითაც გააბედინ...

ძირს აპარტეიდი!

ჰოლანდია რასისტული ქვეყანაა. ამსტერდამში, „დამის“ მოედანზე, ერთვნული ნაკრების უზარმაზარ პლაკატში უთავოდ დენის ბერხკამპის ან მარკ ოვერმარსის ფიგურები კი არა, ყოვლად უდანაშაულო შავკანიანი, კლარენს ზეედორფი დატოვეს. ამ ორ ჰოლანდიელ გოგოს ადამიანის უფლებების პაქტისა და დისკრიმინაციის შესახებ, ეტყობა, ბევრი არაფერი გაეგებათ და შავი თანამოძმის გაჭირვებით ლაღობენ. რა არის აქ სასაცილო?

მთავარია მონდომება

ინგლისელი გულშემატკივრებ... რომ ფრიად კოლორიტულნი არიან, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ეინდჰოვენ... მთავარ მოედანზე წამოგორებულმა ერთმა ბრიტანელმა მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა. როგორ... შეიძლება შეენიო შენს საყვარელ... გუნდს ზურგზე ანიმაციურ ფილ... „მეფე ლომის“ პერსონაჟების დახატვით? სწორი პასუხის ავტორი დასაჩუქრდება მკერდზ... ალადინისა და ჯინის, მეორე ადგილზე გასული — მფრინავი ხალიჩისა და ჯაფარის გამოსახულებებით.

აქაც მე ვარ...

ამ დღეებში ბელგიაში ევრო 2000-ის სიმბოლიკასა და ფეხბურთის ბურთს მაშინაც ვერ გაექცევით, თუ უკვე რამდენიმე საუკუნე შეგისრულდათ და გარკვეული ისტორიული ღირებულებაც გიმშვენებთ ნამსახურობის ნუსხას. ნახეთ, რას დაამსგავსეს ბრიუსელის ცნობილი ქანდაკება „მანეკენ პის“, რომელიც ჩვეულებრივ დღეებში მშვიდად და დაუსჯელად შარდავს ყველას დასანახად. იქვე, შარლერუაში კი ბურთი ქალაქის ცენტრში მდებარე შადრევანშიც ჩაჩხირეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge